პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

ოთხშაბათი, 28 დეკემბერი, 1949 წ. № 256 (8559). ფასი 20 კაპ.

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ახალ სამეურნეო წელს

საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გენიალური ბელადისა და ძასწავლებლის დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულმა საყოველთაო-სახალხო სოციალისტურმა შეჯიბრებამ არნახული ძალითა და ძლიერებით გამოავლინა საბჭოთა ხალხის უდიდესი შრომითი აღმავლობა, მისი დარაზმულობა ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი სტალინის გარშემო. არასოდეს საბჭოთა ადამიანების შრომითს აღმავლობას ისეთ უმაღლეს საფეხურამდე არ მიუღწევია, როგორც ამ დღეებში. დიადი თარიღი—1949 წლის 21 დეკემბერი საბჭოთა ადამიანებმა აღნიშნეს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ენერგიული ბრძოლის, შრომის ნაყოფიერების ახალი აღმავლობის, ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების ნიშნით.

დიდმნიშვნელოვანი თარიღის წესახვედრად გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმაც უდიდესი წარმატებები მოიპოვეს. მათ სასახელოდ გაანაღდეს დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. ასობით საწარმომ, ათასობით ცვლამ და ბრიგადამ, ათეულათასობით სტახანოველმა არა მარტო შეასრულეს წლიური გეგმები, არამედ გამოუშვეს მრავალი მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ნოემბერში ჩვენმა მრეწველობამ ოთხი პროცენტით გადააჭარბა საგეგმო დავალებას. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია დიდძალი ლითონსაჭრელი და საფეიქრო დაზგები, საშახტო ელექტრომავლები და ტრანსპორტერები, საშენი მასალები, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, კვების პროდუქტები. მრეწველობის საერთო პროდუქცია მიმდინარე წლის თერთმეტ თვეში, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ათი პროცენტით გაიზარდა.

შეჯიბრებაში კიდევ უფრო მეტი წარმატებანი მოიპოვეს მრეწველობის ცალკეული დარგების კოლექტივებმა. ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა ვადამდე, 19 დეკემბრისათვის უზრუნველყო სასაქონლო მარგანეცის დამზადების წლიური პროგრამის განაღდება. ახლა ჭიათურელი მაღაროელები 1950 წლის ანგარიშში იღებენ მარგანეცს.

უკანასკნელ თვეებში, განსაკუთრებით ნოემბერ-დეკემბერში შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა საქართველოს მეშახტეებმა, რომლებმაც ნოემბერში გასული წლის ნოემბერთან შედარებით 44,3 პროცენტით გაადიდეს ქვანახშირის მოპოვება, 124 პროცენტით შეასრულეს სამთო-მოსამზადებელი სამუშაოები და ამით მტკიცე ბაზა შექმნეს დეკემბერში უფრო მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის. ქვანახშირის მოპოვების სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწიეს მეშახტეებმა 21 დეკემბერს, ამხანაგ სტალინის დაბადების დღეს. მარტო ამ დღეს მათ უზრუნველყვეს ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო დავალების 133,4 პროცენტით შესრულება, ამასთანავე საგრძნობლად გადააჭარბეს სამთო-მოსამზადებელ სამუშაოებს და ქვანახშირის ტრანსპორტირებას. უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლით აღნიშნეს დიადი თარიღი ტყვარჩელქვანახშირისა და ტყიბულქვანახშირის ტრესტების სტალინის სახელობის შახტებმა. პირველმა ქვანახშირის მოპოვების წლიური გეგმა 20 დეკემბერს შეასრულა, ხოლო მეორემ დეკემბრის ორ დეკადაში გეგმის გადამეტებით ამოიღო 3.900 ტონა ქვანახშირი. ეს წარმატებები რესპუბლიკის მეშახტეებმა მოიპოვეს შრომის დისციპლინის განმტკიცებით, სამთო მექანიზმების უკეთ გამოყენებით.

ახალი შრომითი მამაცობით, ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებით აღნიშნეს დიდი სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავი რესპუბლიკის დაზგათმშენებელი და მანქანათმშენებელი, სტალინის სახელობის ბათუმის ნავთდამმუშავებელი, ბერიას სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა, კასპის ცემენტისა და ქუთაისის სამთო-მანქანათმშენებლობის ქარხნებმა, საფეიქრო ფაბრიკებმა, საკონსერვო ქარხნებისა და მრეწველობის სხვა დარგების საწარმოებმა.

სახელოვანი წარმატება მოიპოვა თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკის კოლექტივმა პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში. ამ ფაბრიკის კამოლურმა საამქრომ ნოემბერში 30 პროცენტით გადააჭარბა პროდუქციის საშუალო თვიური გამომუშავების ომამდელ დონეს, 19,4 პროცენტით გაადიდა მოწყობილობის ნაყოფიერება, ათ თვეში დაზოგა 115,5 ტონა ნედლეული და ამასთან ერთად მიაღწია 99,22 პროცენტი პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას. ამ მოწინავე საწარმოში ახლა იმისათვის იბრძვიან რომ პირველხარისხოვანი პროდუქციის გამომშვები ცალკეული ბრიგადებიდან მიაღწიონ პირველხარისხოვანი პროდუქციის გამომშვებ საწარმომდე.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს მუშაობა რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტმა და მშენებელთა კოლექტივებმა. ამიერკავკასიის რკინიგზამ ვადამდე, 20 ნოემბრისათვის შეასრულა დატვირთვის წლიური გეგმა და საზეიმო დღეებში გეგმის გადამეტებით დატვირთა მრავალი ათასი ვაგონი, დაზოგა დიდძალი სათბობი და შეამცირა ტვირთზიდვის თვითღირებულება.

რესპუბლიკის ახალმშენებლობათა კოლექტივებმა თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ტყიბულში, ტყვარჩელსა და სხვა ქალაქებში საექსპლოატაციოდ გადასცეს მრავალი ათასი კვადრატული მეტრი საწარმოო და საცხოვრებელი ფართობი.

1949 წელი მთავრდება. განვლილი სამეურნეო წელი იყო ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სახელოვანი ბრძოლის, კომუნიზმის მშენებლობის გზაზე ახალ წარმატებათა მოპოვების წელიწადი, ხალხის კულტურულ-მატერიალური დონის შემდგომი ამაღლების წელიწადი. ამ წელს საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. შეჯიბრებაში წარმატების მოპოვება გახდა თვითეული მშრომელის სახელისა და ღირსების საქმე. სოციალისტურმა შეჯიბრებამ გამოავლინა და ხალხის სამსახურში დააყენა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა ჯერ კიდევ გამოუვლინებელი, აურაცხელი საწარმოო რეზერვები. სოციალისტური შეჯიბრებით საბჭოთა ადამიანებმა მიაღწიეს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, ზეგეგმითი დაგროვების გადიდებას, პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების ზრდას, საწარმოო საშუალებათა უკეთ გამოყენებას.

1950 წელი იქნება ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, ჩვენი მრეწველობის, ტრანსპორტისა და საკოლმეურნეო სოფლის შემდგომი წინსვლის წელიწადი, მრავალი ახალი საწარმოს ამუშავების, ხალხის მატერიალურ-კულტურული დონის შემდგომი აღმავლობის წელიწადი.

მრეწველობის, ტრანსპორტის, ახალმშენებლობათა და საკოლმეურნეო სოფლის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა ახლა ის არის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ახალ სამეურნეო წელს, ყველა პირობა შეუქმნან მშრომელთ მომავალ წელს უფრო მაღალნაყოფიერი შრომისათვის, ახალ-ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.

ახალ, 1950 წელს კიდევ უფრო გავაძლიეროთ ტემპები, მეტი ენერგიით ვიმუშაოთ ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის!

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ჩაის პლანტაციის გაშენების გეგმა

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 100 პროცენტით შეასრულეს ჩაის პლანტაციის გაშენების გეგმა. გაშენებულია 265 ჰექტარი ახალი ჩაის პლანტაცია.

წალკის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს მეცხოველეობის განვითარების 1949 წლის გეგმა

წალკის რაიონის კოლმეურნეობებმა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა შეასრულეს 100 პროცენტით, მათ შორის ძროხისა და ფურკამეჩისა—106 პროცენტით. ცხვრისა და თხის სულადობის ზრდის გეგმა შესრულებულია — 100,2 პროცენტით, ღორისა—120,2, ცხენისა—103 და მოზრდილი ფრინველისა — 100,3 პროცენტით.

დიდი მოგებანი

1948 წლის სახელმწიფო ორპროცენტიანი სესხის მეოთხე ტირაჟში, რომელიც 25 დეკემბერს ქალაქ მოლოტოვში შედგა, 50.000 მანეთი მოგება ხვდა 009276 სერიის № 46 და 014329 სერიის № 38 ობლიგაციებს.

25.000 მანეთ მოგებას მიიღებენ 003947 სერიის № 26, 008914 სერიის № 20, 015195 სერიის № 39, 023197 სერიის № 32, 033897 სერიის № 25, 034817 სერიის № 23, 035261 სერიის № 25, 036918 სერიის № 09, 041160 სერიის № 37 და 041843 სერიის № 40 ობლიგაციების მფლობელნი. (საკდესი).

მისალმებანი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისაგან

ძვირფასო და მხურვალედ საყვარელო იოსებ ბესარიონის-ძევ!

თქვენი დაბადების 70 წლისთავის დღეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეცნიერებათა აკადემია მხურვალე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, სოციალიზმის ქვეყნის დიდ მესაჭეს.

თქვენი სახით მეცნიერებათა აკადემია მიესალმება მებრძოლს, მოაზროვნეს, მეცნიერს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა განთავისუფლებისათვის რევოლუციურ ბრძოლას, მიესალმება ბოლშევიკების გმირული პარტიის, საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ბრძენ მასწავლებელსა და ბელადს.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე დღითიდღე უფრო ნათლად ისახება იმ ისტორიულ საგმირო საქმეთა სიდიადე, რომლებიც თქვენ შეასრულეთ და ასრულებთ სოციალიზმის, მშვიდობისა და დემოკრატიის საქმის გამარჯვებისათვის, დედამიწაზე ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრების შექმნისათვის ბრძოლაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით, რომელიც რუსეთის ხალხებმა მოახდინეს ლენინისა და სტალინის გენიალური წინამძღოლობით, დაიწყო ადამიანთა საზოგადოების განვითარების ახალი ერა, კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის გამარჯვების ერა, რომელიც კაცობრიობის ნამდვილი ისტორიის დასაბამს მოასწავებს.

თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში აშენებულია სოციალიზმი, მოპოვებულია გადამწყვეტი გამარჯვება ფაშიზმზე, დიდ სამამულო ომში, გამარჯვება, რომელმაც ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში გაკაფა სახალხო დემოკრატიის ზეიმის გზა, მშვიდობის, სოციალიზმისა და დემოკრატიის ამ მძლავრი ბანაკის შექმნის გზა, რომელიც ამჟამად 800 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებს.

სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი, კომუნიზმის გზით ჩვენი ხალხის წარმატებით წინსვლა წარმოადგენს საზოგადოების შესახებ, პროლეტარული რევოლუციის კანონების შესახებ, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების უდიდეს ზეიმს. თქვენ შემოქმედებითად ავითარებთ მარქსიზმ-ლენინიზმს და ამ ყოვლისმძლე მოძღვრებით იარაღებთ ჩვენს კადრებს, ხელმძღვანელობთ მარქსიზმ-ლენინიზმის განხორციელებას.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ დიადი ლენინურ-სტალინური თეორიის საფუძველზე საბჭოთა ხალხმა ააშენა მსოფლიოში პირველი მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო. ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და შეგობრობის დიადმა ლენინურ-სტალინურმა იდეოლოგიამ თავისი გამოხატულება ჰპოვა მძლავრი მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნით.

თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ისე როგორც უკვდავი ლენინი, მთელი პროგრესული კაცობრიობის ჩირაღდანი და იმედი ხართ. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ვცხოვრობთ სტალინურ ეპოქაში—კომუნიზმის მშენებლობის ეპოქაში.

საბჭოთა მეცნიერებისათვის თქვენი გენიალური ხელმძღვანელობა და მთელი თქვენი ღონეგაწეობა, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, შემოქმედებითი შთაგონების უშრეტი წყაროა.

საბჭოთა მეცნიერების ადამიანებს თქვენ ასწავლით დიდ პრინციპულობას, შემოქმედებით შეხართებას, ულმობელ ბრძოლას რუტინისა და უძრაობის წინააღმდეგ. ჩვენს მეცნიერებს თქვენ უნერგავთ საბჭოთა მეცნიერების განვითარებისათვის თავიანთი ქვეყნის წინაშე, თავიანთი ხალხის წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობას. ჩვენი ქვეყნის მეცნიერთათვის მიცემულმა თქვენმა ისტორიულმა მითითებამ—არა მარტო დავეწიოთ, არამედ უმოკლეს ვადაში გადავაჭარბოთ მეცნიერების მიღწევებს საზღვარგარეთ — მეცნიერების ყველა მუშაკი აღაფრთოვანა ახალი ენერგიით, მისწრაფებით — დაუღალავად იაროს წინ, ახალ-ახალი წარმატებებისაკენ.

საბჭოთა მეცნიერება სამართლით ემსახურება ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას, ჩვენი ქვეყნის აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრის გამოვლინებასა და გამოყენებას. საბჭოთა მეცნიერება ემსახურება მშვიდობის საქმეს და სამშობლოს აყვავების საქმეს, იგი ვითარდება ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრების მტკიცე საფუძველზე, მას შეაქვს თავისი წვლილი და ქვლავაც შეიტანს კომუნიზმის აშენების ისტორიულ საქმეში. თქვენი მუდმივი ყურადღებისა და მზრუნველობის მეოხებით შექმნილია განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები საბჭოთა კავშირში მოწინავე მეცნიერების ყოველმხრივი აყვავებისათვის, მეცნიერებისა და პრაქტიკის შემოქმედებითი თანამეგობრობისათვის, მოწინავე პრაქტიკის გამოცდილების უსწრაფესი მეცნიერული განზოგადებისა და წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა დანერგვისათვის.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია ამაყობს იმით, რომ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ხართ ჩვენი აკადემიის საპატიო წევრი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია და საბჭოთა მეცნიერების მთელი არმია ბედნიერი არიან იმით, რომ გამარჯვებული სოციალიზმის ჩვენს ქვეყანაში მეცნიერება, ასრულებს რა თქვენს მითითებებს, ნამდვილად ემსახურება ხალხს, მშრომელთა კეთილდღეობის გადიდების ამოცანებს, მშვიდობის დაცვის ინტერესებს. და დიდი აღტაცების გრძნობით ჩვენ, მეცნიერები, ყოველ ჟამს ვრწმუნდებით, რომ არ არის მეცნიერებისა და კულტურის არც ერთი ისეთი დარგი, სადაც თავს არ იჩენდეს თქვენი წვრმაროვნული აზრი, სადაც არ ჩანდეს თქვენი შემოქმედებითი გენია.

გულითადად მოგესალმებით რა, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, თქვენი დაბადების 70 წლისთავის დღეს, გამოვთქვამთ თქვენდამი მადლობის გრძნობას და მხურვალედ გისურვებთ მრავალ, მრავალ წელს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ და სასახელოდ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საბედნიეროდ.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ მასწავლებელსა და ბელადს, საბჭოთა ხალხის დიდებას, საბჭოთა მეცნიერების სიამაყეს—დიდ სტალინს!

განხილული და მიღებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მონაწილეთა მიერ.

საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობისაგან

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საბჭოთა კავშირის მწერლები გულითად სალამს გიძღვნით თქვენი დაბადების 70 წლისთავის დღეს, ყველა ჩვენს თანამემამულესა და მსოფლიოს ყველა მშრომელთან ერთად სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობასა და მრავალ, მრავალ წელს სიცოცხლეს.

თქვენი მზიური გენია კაცობრიობას უშუქებს ბედნიერების გზას.

თქვენი, ბოლშევიკი რევოლუციონერის, გმირული ცხოვრება ხალხისადმი, კომუნიზმის საქმისადმი სამსახურის უმაღლესი მაგალითია.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინთან ერთად, თქვენ, მისმა მოწაფემ, ერთგულმა თანამებრძოლმა და მეგობარმა, შექმენით გმირული, ძლევამოსილი რევოლუციური თეორიით შეიარაღებული პარტია ბოლშევიკებისა, კაპიტალიზმზე იერიშის მისატანად დარაზმეთ ჩვენი მშრომელი ხალხი და მიიყვანეთ იგი ბრწყინვალე გამარჯვებამდე 1917 წლის ოქტომბერში.

თქვენ, ამხანაგო სტალინ, უკვდავ ლენინთან ერთად დაიცავით მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო საერთაშორისო და შინაური კონტრრევოლუციის მიერ ხელყოფისაგან.

მიიღეთ რა ლენინის ხელიდან კომუნიზმისათვის ბრძოლის დროშა, თქვენ მეოთხედი საუკუნეა მაღლა გიჭირავთ იგი და პარტიის რკინისებურ ერთიანობას იცავთ მტრის ხრიკებისაგან, თვალისჩინივით უფრთხილდებით ლენინის მოძღვრების სიწმინდეს. თქვენ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეთ მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში.

თქვენი წინამძღოლობით ჩვენი სამშობლოს ხალხებმა ააშენეს მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო და შეუდგნენ კომუნიზმის შექმნის დიადი ამოცანის ხანხორციელებას.

თქვენს, მხედართმთავრისა და სახელმწიფო მოღვაწის, გენიას უნდა უმადლოდეს ჩვენი სამშობლო მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას დიდ სამამულო ომში, ხოლო მთელი კაცობრიობა — ფაშისტთა მიერ დამონების საფრთხისაგან განთავისუფლებას.

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა

სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის მუშების, ოსტატების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების წერილი

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

თქვენი დაბადების 70 წლისთავის დღეს სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის მუშები, ოსტატები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები მხურვალედ გილოცავენ თქვენ, მშობლიურ და საყვარელ ბელადს, მეგობარსა და მასწავლებელს, და სულით და გულით გისურვებენ ჯანმრთელობას და მრავალ, მრავალ წელს სიცოცხლეს საბჭოთა ხალხისა და მთელი მოწინავე, პროგრესული კაცობრიობის სასიხარულოდ და საკეთილდღეოდ.

თქვენი ცხოვრება, ამხანაგო სტალინ, წარმოადგენს ხალხისადმი, კომუნიზმის საქმისადმი თავდადებული სამსახურის აღმაფრთოვანებელ მაგალითს.

თქვენი სახელით აღფრთოვანებულნი შრომობდნენ და შრომობენ საბჭოთა ადამიანები სოციალისტური შეჯენებლობის ხუთწლიანი გეგმების შესასრულებლად, რომლებსაც ჩვენმა ხალხმა სტალინური ხუთწლედები უწოდა.

თქვენი გენიალური წინამძღოლობით ჩვენს ქვეყანაში აშენდა სოციალისტური საზოგადოება.

თქვენ სათავეში ჩაუდექით საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ და მიიყვანეთ ჩვენი სამშობლო მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე.

ახლა, მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით სწრაფად იზრდება ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

როცა კი დიდი სიხარული გვაქვს, ვიჩქარით თქვენ გაგიზიაროთ, როცა ახალი შრომითი ამოცანა გვაქვს გადასაწყვეტი, თქვენ მოგმართავთ, ამხანაგო სტალინ, და პირობას გაძლევთ ხოლმე, რომ ყველა დაბრკოლებას გადავლახავთ და წარმატებას მოვიპოვებთ. ხალხისადმი თავდადებული სამსახურის თქვენი მაგალითი აღგვაფრთოვანებს ახალი საგმირო საქმეებისათვის, კომუნიზმის გზაზე ყველა სიძნელის გადასალახავად.

ყოველმა საბჭოთა ადამიანმა იცის: სადაც სტალინია, იქ გამარჯვებაა! ასე იყო დიდი ოქტომბრის დღეებში, ასე იყო სამოქალაქო ომის ფრონტებზე, ასე იყო სტალინური ხუთწლედებისა და დიდი სამამულო ომის წლებში. ასე იქნება კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ! მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა ჩვენმა ქარხანამ 19 დეკემბერს შეასრულა, აგრეთვე მთლიანად და ვადამდე შესრულებულია ყველა დაწარჩენი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც თქვენი დაბადების 70 წლისთავისათვის ვიკისრეთ.

ჩვენ, ავტოქარხნელებმა, წარმატება მოვიპოვეთ მხოლოდ თქვენი ყოველდღიური დახმარებისა და ყურადღების მეოხებით. თქვენ უნდა გიმადლოდეთ ჩვენი ქარხნის მოწინავე ტექნიკით აღჭურვას და ჩვენი კადრების უდიდეს ტექნიკურ ზრდას.

მოსკოვის საავტომობილო ქარხანა ატარებს თქვენს დიდებულ სახელს. ჩვენ ვამაყობთ ამ დიდი პატივით და ვცდილობთ გავამართლოთ იგი ჩვენი შრომით.

მისალმებაში, რომელიც თქვენ ქარხნის კოლექტივს გამოუგზავნეთ მის 25 წლისთავთან დაკავშირებით, ამოცანად დაგვისახეთ მოგვეპოვებინა ახალი წარმატებანი ჩვენი ქვეყნის ავტომობილმშენებლობის ტექნიკისა და მისი შემდგომი განვითარების დარგში.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ამ თქვენს დავალებასაც შევასრულებთ. ამის საწინდარია ჩვენი უსაზღვრო ერთგულება საყვარელი სამშობლოსა და ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი. ამის საწინდარია საბჭოთა ხალხის მძლავრი წინსვლა კომუნიზმისაკენ. მთელ საბჭოთა ხალხთან და მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად ჩვენ წარმოვთქვამთ გულის სიღრმიდან მომდინარე სიტყვებს: ცოცხლობდეს და ღღეგრძელობდეს მრავალ და მრავალ წელს მთელი მშრომელი კაცობრიობის სასიხარულოდ დიდი ბელადი, მასწავლებელი და მეგობარი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი!

მხურვალედ მოგილოცავთ ლენინის ორდენით დაჯილდოებას თქვენი დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით და გისურვებთ მრავალ წელს ნაყოფიერ მუშაობას.

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ბოლშევიკების გმირ პარტიას — ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ, მხურვალედ საყვარელ ამხანაგ სტალინს!

მიღებულია სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის მუშების, ოსტატების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების საზეიმო კრებაზე.

ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილას" მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების წერილი

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

თქვენი დაბადების 70 წლისთავის დღეს ლენინგრადის ორგზის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ს. მ. კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილას" მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივი მხურვალე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს, მასა და მეგობარს!

სტალინ! ამაზე უფრო მახლობელი, უფრო ძვირფასი სახელი არ არსებობს ჩვენთვის, თქვენი თანამედროვეებისათვის, მილიონობით საბჭოთა ადამიანისათვის, რომლებმაც, თქვენი ბრძნული წინამძღოლობით, თქვენი იდეებით და სოციალისტური გარდაქმნის გრანდიოზული გეგმებით აღფრთოვანებულებმა, ისტორიაში პირველად ააშენეს სოციალიზმის დიდებული შენობა.

სტალინ! ეს სახელი გახდა თავისუფლებისა და ადამიანის ბედნიერების სიმბოლო.

სტალინ! ეს არის ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ავსტრალიის ხალხთა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ძლევამოსილი ბრძოლის დროშა. ჩვენი საუკეთესო აზრები, გრძნობები და სურვილები მოპყრობილია თქვენდამი, ჩვენი დროის უდიდესი ადამიანისადმი, რომელსაც არ გააჩნია სხვა ცხოვრება, გარდა ხალხისათვის ცხოვრებისა.

მთელ ხალხთან ერთად ვემზადებოდით თქვენი იუბილესათვის ჩვენც, ქარხანა „ელექტროსილას" მუშაკები. ამ დღეებში ქარხანაში გამეფებულია უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა. თქვენ, ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს, გიძღვნიდნენ და გიძღვნიან ქარხანა „ელექტროსილას" მუშაკები თავიანთ შრომას, თავიანთ მიღწევებსა და წარმატებებს.

მგრაგნელებისა და განმამხოლოებლების, ზეინკალ-ამწყობებისა და მეშტამპეების, კონსტრუქტორებისა და ტექნოლოგების საწარმოო რეკორდებით, მათი შემოქმედებითი შემართებით, მათი თავდადებული შემოქმედებითი შრომით გამოხატულია მთელი ძალა სიყვარულისა და ერთგულებისა იმისადმი, ვისაც მტკიცე ხელით მიეყვართ ბრძოლისა და გამარჯვებათა გზით,—თქვენდამი, ამხანაგო სტალინ.

თქვენი გენიალური განჭვრეტა, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ისტორიის განვითარების კანონთა თქვენი განსაცვიფრებელი ცოდნა, თქვენი ნათელი გონების სიღრმე, პირადი უშიშარობა და მამაცობა ხალხის სამართლიანი საქმისათვის, მშვიდობისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში — მთელი დედამიწის ხალხთა იმედი და სასოება გახდა. თქვენს სახელთან დაკავშირებულია კაპიტალისტური სამყაროს მილიონობით უბრალო ადამიანის ოცნება მშვიდობაზე, პურზე, ადამიანის ბედნიერებაზე.

ჩვენო ძვირფასო მეგობარო და მასწავლებელო!

ბედნიერი ვართ იმით, რომ ვცხოვრობთ დიად სტალინურ ეპოქაში, რომ თქვენთან ერთად, თქვენი ბრძნული მითითებებით, თქვენი გენიალური ხელმძღვანელობით ვაშენებთ კომუნიზმის ნათელ, დიდებულ შენობას. ბედნიერი ვართ იმით, რომ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, თქვენი, იოსებ ბესარიონის-ძევ, ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული გამარჯვებანი მთელი დედამიწის ხალხებს მოუწოდებენ—მიბაძონ ჩვენს მაგალითს.

ახლა, როცა კაპიტალისტური ბანაკის აღვირახსნილი რეაქციონერები ცდილობენ გააჩაღონ ახალი, მესამე მსოფლიო ომის ხანძარი, თქვენი დინჯი, ბრძნული სამშვიდობო პოლიტიკა დემოკრატიული ბანაკისაკენ იზიდავს ახალ-ახალ მილიონობით ადამიანს. და ჩვენ გვჯერა, ვიცით, რომ გაიმარჯვებს მშვიდობის ბანაკი, დემოკრატიის ბანაკი, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს და თქვენი გენია წარმართავს.

გულწრფელად გისურვებთ, ჩვენო ძვირფასო მამავ და მეგობარო, მრავალ, მრავალ წელს სიცოცხლეს მშრომელი კაცობრიობის სასიხარულოდ და საბედნიეროდ.

სიცოცხლე და ღღეგრძელობა ჩვენს სახელოვან სოციალისტურ სამშობლოს!

სიცოცხლე და გამარჯვება ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის აღმაფრთოვანებელი დროშით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

მიღებულია ს. მ. კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილას" კოლექტივის საზეიმო კრებაზე.

მისალმებანი ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი
მისალმებათა ნაკადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალისიმუს სტალინს

თქვენი დაბადების დღის გამო შვეიცის მთავრობა ისწრაფვის გიძღვნათ ყველაზე საუკეთესო მოლოცვა.

ერლანდერი
პრემიერ-მინისტრი
სტოკჰოლმი, 1949 წლის 20 დეკემბერი.

მის აღმაფრებულებას ი. ბ. სტალინს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

თქვენი აღმატებულების დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი მოლოცვა და გისურვებთ პირად ბედნიერებას.

გ. ეისკენსი
პრემიერ-მინისტრი
ბრიუსელი, 1949 წლის 21 დეკემბერი.

მის აღმაფრებულებას გენერალისიმუს სტალინს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

თქვენი აღმატებულების დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო პატივი მაქვს გიძღვნათ ჩემი გულწრფელი მოლოცვა. ვიგონებ რა საერთო მსხვერპლს, რაც ნორვეგიელმა და საბჭოთა ხალხებმა გაიღეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, გთხოვთ მიიღოთ ჩემი და ნორვეგიელი ხალხის საუკეთესო სურვილები, რომ აყვავდეს საბჭოთა ხალხის ბედნიერება და ჩვენი ორივე ქვეყნის ტრადიციული მეგობრობა.

ეინარ ჰერჰარდსენი
ნორვეგიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ოსლო, 1949 წლის 20 დეკემბერი.

პრემიერ იოსებ სტალინს

გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულთბილი მოლოცვა თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო და გისურვებთ მრავალ წელს ჯანმრთელობას.

ტრიუგვე ლი
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი
ლეიკ-საქსესი, ნიუ-იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები.
1949 წლის 20 დეკემბერი.

მის აღმაფრებულებას ი. ბ. სტალინს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

თქვენი აღმატებულების დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელ მოლოცვასთან ერთად ბედნიერებისა და ხანგრძლივი სიცოცხლის საუკეთესო სურვილები.

მოჰამედ საედი
ირანის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
თეირანი, 1949 წლის 21 დეკემბერი.

მის აღმაფრებულებას გენერალისიმუს სტალინს

თქვენი აღმატებულების დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით ვსარგებლობ სასიამოვნო შემთხვევით, რომ მხურვალე მოლოცვა გიძღვნათ ჩემი სახელით და ლუქსემბურგის მთავრობის სახელით და გულწრფელად ვისურვო ჯანმრთელობა და კეთილდღეობა პირადად თქვენი აღმატებულებისათვის, აგრეთვე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის აყვავება.

პიერ დიუპონი
ლუქსემბურგის მთავრობის თავმჯდომარე
ლუქსემბურგი, 1949 წლის 21 დეკემბერი.

მის აღმაფრებულებას ი. ბ. სტალინს

თქვენი აღმატებულების დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო ბედნიერი ვარ გიძღვნათ ისლანდიის მთავრობის საუკეთესო სურვილები და მოლოცვა.

ოლაფურ ტორსი
პრემიერ-მინისტრი
რეიკიავიკი, ისლანდია.
1949 წლის 21 დეკემბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს

ფინეთის მთავრობა გთხოვთ, ბატონო გენერალისიმუსო, მიიღოთ მისი გულითადი მოლოცვა და უაღრესად გულწრფელი სურვილები თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავის დღეს.

ფინელ ალხს დიდი მადლიერებით აქვს შეგნებული, რომ თქვენი კეთილი ხელშეწყობის მეოხებით მან მიაღწია სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას მსოფლიოს თავისუფალ ხალხთა შორის.

ფინეთს კვლავაც აქვს როგორც პირადად თქვენი, ისე თქვენი ხელმძღვანელობით მძლავრი საბჭოთა კავშირის ხალხთა ნდობის იმედი მისი გულწრფელი მისწრაფებებისადმი მშვიდობიანი და მეგობრული კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

ფინეთის მთავრობის სახელით
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
კ. ა. ფაგერჰოლმი
ჰელსინკი, 1949 წლის 20 დეკემბერი.

გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს

თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო, რომელსაც თქვენ დღესასწაულობთ, გთხოვთ ბატონო გენერალისიმუსო, მიიღოთ ჩემი უმხურვალესი მოლოცვა.

კავშირის კანცლერი ფიგლი
ავსტრია—ვენა, 1949 წლის 20 დეკემბერი.

მის აღმაფრებულებას გენერალისიმუს სტალინს

თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო გთხოვთ მიიღოთ ჩემი მოლოცვა და სურვილები, აგრეთვე ისრაელის მთავრობისა და ხალხის მოლოცვა და საუკეთესო სურვილები.

გისურვებთ მრავალ წელს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და სრულ წარმატებას ყველა თქვენს წამოწყებაში, რომელიც მიმართულია თქვენი ქვეყნისა და მისი ხალხების ეკონომიკის, კულტურული და სოციალური პროგრესის განვითარებისაკენ, აგრეთვე საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის ხალხთა შორის თანამშრომლობისაკენ.

დავიდ ბენ გურიონი
ისრაელის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრი
იერუსალიმი, 1949 წლის 18 დეკემბერი.

მის აღმაფრებულებას გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ქალაქ ლონდონის მერის, ალდერმენთა საბჭოსა და მოქალაქეთა კომიტეტის სახელით, რომელიც ამ ქალაქის მმართველობის ორგანოს წარმოადგენს, ჩვენ ვიხდით პატივს მოგმართოთ ჩვენი გულითადი მოლოცვით თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო.

ჩვენ ვიხსენებთ ჩვენი ქალაქის ხალხის ბრძოლას ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ და ჩვენ ვიცით, რომ ამ ბრძოლაში ჩვენ ვიპოვეთ ერთგული მეგობარი საბჭოთა კავშირის ხალხში.

ჩვენ ვიცით, რომ ამ ბრძოლაში ჩვენ ვიპოვეთ ერთგული მეგობარი საბჭოთა კავშირის ხალხში.

ჩვენ ვიცით, რომ ამ ბრძოლაში ჩვენ ვიპოვეთ ერთგული მეგობარი საბჭოთა კავშირის ხალხში.

ლონდონის მერი
ალდერმენთა საბჭო
მოქალაქეთა კომიტეტი
ლონდონი, 1949 წლის 20 დეკემბერი.

კრემლში ხალხი აღნიშნავს ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავს

ვარშავა, 22 დეკემბერი. (საქდესი). პოლონეთის მშრომელები ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავს ახალი საწარმოო წარმატებებით აღნიშნავენ.

ქალაქ ლოძის მუშებმა ამხანაგ სტალინს დაბადების სამოცდაათი წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრების მსვლელობაში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 200 ათასი კილოგრამი წართი, 1.850 ათასი მეტრი ქსოვილი, 10 მოტორი და ბევრი სხვა საქონელი. ლოძის მუშების მიერ გამოშვებული პროდუქციის საერთო ღირებულება ერთ მილიარდ ზლოტის აღემატება.

ქარხანა „სტალეპა ვოლიას“ და სტრინგზო მოწყობილობის ქარხნის მაგალითის მიხედვით სტალინურ ვახტზე დადგა ქუშუვის სავოევოდოს თითქმის ყველა საწარმო. ქუშუვის სავოევოდოს საწარმოებმა გეგმის გადამეტებით გამოუშვეს რამდენიმე ათეული მილიონი ზლოტის პროდუქცია. დამყარებულია შრომის ნაყოფიერების ახალი რეკორდები. მიღებული ცნობების თანახმად, სილეზიის აუზის ქვანახშირის 11 შახტმა გუშინ დღიური გეგმები შეასრულა 120 პროცენტით, ათზე მეტმა სხვა შახტმა დღიური გეგმები 110 პროცენტით შეასრულა.

გუშინ პოლონეთის ყველა სავოევოდო და სამაზრო ქალაქში გაიმართა საზეიმო სხდომები. საზეიმო სხდომები გაიმართა აგრეთვე სათემო, სამაზრო და სავოევოდო სახალხო რადებში. უმაღლეს სასწავლებლებში შედგა სამეცნიერო საბჭოების სხდომები. სხდომები გადაიქცნენ ოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი პოლონელი ხალხის სიყვარულისა და მადლობის მძლავრ დემონსტრაციად.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მიღებულია და კვლავ მოდის მრავალი მისალმება პარტიული, საბჭოთა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, საწარმოთა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა კოლექტივებისაგან, სამხედრო ნაწილებისაგან და ცალკეული საბჭოთა მოქალაქეებისაგან.

მრავალი მისალმება მოდის ამხანაგ სტალინის სახელზე სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან და ცალკე პირთაგან უცხო სახელმწიფოებიდან.

მისალმებანი ამხანაგ სტალინისათვის ჯანმრთელობისა და მრავალი წლის სიცოცხლის სურვილით გამოგზავნეს:

საკავშირო კ. პ. (ბ) სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) სტალინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტებმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) გორკის საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) როსტოვის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა.

საკავშირო კ. პ. (ბ) მოლოტოვის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) სტავროპოლის სამხარეო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) იაროსლავლის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ნოვოსიბირსკის საოლქო და საქალაქო კომიტეტებმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ტულის საოლქო და საქალაქო კომიტეტებმა, მშრომელთა დეპუტატების საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) სარატოვის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) კემეროვოს საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ორიოლის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ტამბოვის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) კიევის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) თათრეთის საოლქო კომიტეტმა, თათრეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ;

საკავშირო კ. პ. (ბ) ალტაის სამხარეო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს აღმასკომმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) ხარკოვის საოლქო კომიტეტმა;

ყაზახეთის კ. პ. (ბ) ყარაგანდის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) სტალინოს საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) კიროვსკის საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ვორონეჟის საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) კალინინის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) კურსკის საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) სმოლენსკის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) კუიბიშევის საოლქო და საქალაქო კომიტეტებმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) ზაპოროჟიეს საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) პენზის საოლქო და საქალაქო კომიტეტებმა;

ბელორუსიის კ. პ. (ბ) მინსკის საოლქო და საქალაქო კომიტეტებმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) გროზნოს საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) ჟიტომირის საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) რიაზანის საოლქო კომიტეტმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) სუმის საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) კალუგის საოლქო კომიტეტმა;

საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ვლადიმირის საოლქო კომიტეტმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) კიროვოგრადის საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ულიანოვსკის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

ყაზახეთის კ. პ. (ბ) ალმა-ატის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ჩკალოვის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

დაღისტნის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა;

უდმურტეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ;

ყაბარდოს ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა;

მორდვეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა;

ყარა-ყალპაკეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიამ;

საკავშირო კ. პ. (ბ) ბრიანსკის საოლქო კომიტეტმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) როვნოს საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ტომსკის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ბურიატ-მონღოლეთის საოლქო კომიტეტმა, ბურიატ-მონღოლეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ;

საკავშირო კ. პ. (ბ) ადიღეს საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

ბელორუსიის კ. პ. (ბ) პინსკის საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ვოლოგდის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

ყაზახეთის კ. პ. (ბ) სამხრეთ-ყაზახეთის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ასტრახანის საოლქო კომიტეტმა;

ყაზახეთის კ. პ. (ბ) გურიევის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) არხანგელსკის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) იაკუტსკის საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) უდმურტეთის საოლქო კომიტეტმა;

ბელორუსიის კ. პ. (ბ) პოლესიეს საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) მორდვეთის საოლქო კომიტეტმა;

ყირგიზეთის კ. პ. (ბ) ტიან-შანის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ამურის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ჩიტის საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) სახალინის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) მარეთის საოლქო კომიტეტმა;

ბელორუსიის კ. პ. (ბ) გროდნოს საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) კამჩატკის საოლქო კომიტეტმა;

სტალინის სახელობის ნოვო-კრამატორსკის ლენინის ორდენოსანი მანქანათმშენებელი ქარხნის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა;

დნეპროპეტროვსკის მოლოტოვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა;

ვოროშილოვსკის ქიმსქიმიური ქარხნის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ალტაის მხარის ბელოგლაზოვის მტს-ის მუშაკთა კოლექტივმა;

კრასნოდარის მხარის ეისკის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ბაქოს საორთქლმავლო დეპოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

მინსკის ქიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ზღვისპირეთის სამხარეო კომიტეტმა;

თურქმენეთის კ. პ. (ბ) აშხაბადის საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) მურმანსკის საოლქო კომიტეტმა;

მშრომელთა დეპუტატების სტალინგრადის საოლქო და საქალაქო საბჭოებმა;

ტაჯიკეთის კ. პ. (ბ) მთიანი ბადახშანის საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ყირიმის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) პოლტავის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

უზბეკეთის კ. პ. (ბ) ფერგანის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ველიკიე ლუკის საოლქო და საქალაქო კომიტეტებმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) ლვოვის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) იმიერკარპატის საოლქო კომიტეტმა;

კუიბიშევის მექანიკური ქარხნის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა;

ბელორუსიის ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა;

მშრომელთა დეპუტატების ლენინგრადის საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა;

შავი ზღვის ნავთის ჩასასხმელი საწაოსნო საზოგადოება „სოვტანკერის“ თბომავალ „იოსებ სტალინის“ ეკიპაჟმა;

მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა, პროფესორთა და მასწავლებელთა კოლექტივმა;

ირკუტსკის ოლქის სატყეო მრეწველობის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, მოსამსახურეებმა და კოლმეურნეებმა;

საბჭოთა არმიის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების სტალინის სახელობის ლენინის ორდენოსანი სამხედრო აკადემიის საბჭომ;

როსტოვის ოლქის იზბერდეის რაიონის კოლმეურნეობა „ზავეტ ილიჩას“ წევრებმა;

ოდესის სამხედრო ოლქის ჯარების პირადმა შემადგენლობამ;

მოსკოვის ს. მ. კიროვის სახელობის ორგზის ორდენოსანი ქარხანა „დინამოს“ მუშებმა, ოსტატებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

მოსკოვის მეტალურგიული ქარხნის „სერპ ი მოლოტის“ მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

მოსკოვის ა. ი. მიქოიანის სახელობის ლენინის ორდენოსანი ხორცკომბინატის სტახანოველებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

მოსკოვის კრეკინგ-ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ოქტომბრის რკინიგზის სტალინსკის სახელოსნოების მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ქარხანა „კაუჩუკის“ მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

კოლომნის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის ორთქლმავალმშენებელი ქარხნის მუშებმა, ოსტატებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. კუიბიშევის ლენინის ორდენოსანი ბურთულსაკისარის ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სტერლიტამაკის ლენინის ორდენოსანი ლენინის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

კემეროვოს ოლქის კისელიოვსკის ქვანახშირის მანქანების ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

მოსკოვის მეორე საათის ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

სამკერვალო ფაბრიკა № 2 „ბოლშევიჩკას“ მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კრებამ;

ბაქოს ლეიტენანტ შმიდტის სახელობის ლენინის ორდენოსანი ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა;

ქალაქ კემეროვოს ტრესტ „კემეროვუგოლის“ მახტა „სევერნაიას“ მაღაროელებმა;

ნოვოსიბირსკის № 2 თბოელექტროცენტრალის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

კომბინატ „როსტოვუგოლის“ სოკოლოვსკის შახტების სამმართველოს მაღაროელებმა;

ქ. ბაქოს ტრესტ „ორჯონიკიძენეფტის“ მე-9 სარეწის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა;

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა;

ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა;

აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა;

აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭომ;

სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ;

ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა;

ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭომ;

კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა;

კარელია-ფინეთის სსრ მინისტრთა საბჭომ;

ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) კრასნოიარსკის საშაურო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) კალინინგრადის საოლქო კომიტეტმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) ხერსონის საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ომსკის საოლქო კომიტეტმა;

ბელორუსიის კ. პ. (ბ) პოლოცკის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭომ;

უკრაინის კ. პ. (ბ) ჩერნიგოვის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ბრესტის საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ნოვგოროდის საოლქო და საქალაქო კომიტეტებმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) ნიკოლაევის საოლქო კომიტეტმა;

ყაზახეთის კ. პ. (ბ) ჯამბულის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) კოსტრომის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ჩუვაშეთის საოლქო კომიტეტმა, ჩუვაშეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ;

ყაზახეთის კ. პ. (ბ) დასავლეთ ყაზახეთის საოლქო კომიტეტმა მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ბარანოვიჩის საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ბაშკირეთის საოლქო კომიტეტმა, ბაშკირეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ;

უზბეკეთის კ. პ. (ბ) სურხან-დარიის საოლქო კომიტეტმა;

ბელორუსიის კ. პ. (ბ) მოლოდეჩნოს საოლქო კომიტეტმა;

ყაზახეთის კ. პ. (ბ) აქტიუბინსკის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

ბელორუსიის კ. პ. (ბ) გომელის საოლქო კომიტეტმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) ვინიცის საოლქო კომიტეტმა;

ყაზახეთის კ. პ. (ბ) პავლოდარის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ჩერქეზეთის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ქვემო ამურის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

ყაზახეთის კ. პ. (ბ) ჩრდილო ყაზახეთის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) კურგანის საოლქო კომიტეტმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) კომის საოლქო კომიტეტმა და კომის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ;

საკავშირო ალკკ ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტებმა;

ლატვიის ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა;

საქართველოს სსრ პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ;

ყაზახეთის კ. პ. (ბ) აქმოლინსკის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

ბელორუსიის სსრ პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ;

იაკუტიის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა;

იაკუტიის ასსრ მინისტრთა საბჭომ;

მარეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა;

მარეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ;

საკავშირო კ. პ. (ბ) იამალო-ნენეცთა საოკრუგო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოკრუგო საბჭოს აღმასკომმა;

ტრესტ „კაგანოვიჩუგოლის“ № 7-ე შახტის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სსრ კავშირის გზათა სამინისტროს ლოსინოოსტროვსკის ძერჟინსკის სახელობის ელექტროტექნიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ბაქოს ტრესტ „ორჯონიკიძენეფტის“ მე-6 სარეწის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა;

დნეპროპეტროვსკის ლენინის სახელობის ლენინის ორდენოსანი მილსაგლინავი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს ნიჟნედნეპროვსკის ლიტონის-ნაკეთობათა ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

სტალინგრადის ქარხანა „კრასნი ოქტიაბრის“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) კამენეც-პოდოლსკის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

ყაზახეთის კ. პ. (ბ) ყზილ-ორდის საოლქო კომიტეტმა

საკავშირო კ. პ. (ბ) დაღისტნის საოლქო კომიტეტმა და დაღისტნის ასსრ მინისტრთა საბჭომ;

ყაზახეთის კ. პ. (ბ) ტალდი-კურგანის საოლქო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა;

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

შედგა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი, რომელსაც ესწრებოდნენ აგრეთვე თბილისის სკოლების დირექტორები, სასკოლო კომკავშირული კომიტეტის მდივნები, უფროსი პიონერხელმძღვანელები და სხვ.

პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: 1. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმის შედეგები და 2. პიონერთა ორგანიზაციებისადმი საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ზოდელავამ.

პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობისა და ზრუნვის შედეგად,—აღნიშნა მომხსენებელმა, — საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისა და მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მისი დარაზმვის საქმეში. მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით აღნიშნეს ოქტომბრის რევოლუციის 32-ე წლისთავი თბილისის, ქუთაისის, ტყვარჩელის, რუსთავის და სხვა ქალაქებისა და რაიონების ახალგაზრდა მუშებმა. თბილისის 4.900 ახალგაზრდა მუშამ შეასრულა წლიური, ხოლო 500-ზე მეტმა 5-6-7 წლის საწარმოო დავალება. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მლესავმა კომკავშირელმა გ. ზარქუამ 14 წლის ნორმა შეასრულა, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ახალგაზრდა ხარატმა გ. მარდალეიშვილმა—11 წლისა, სტალინის სახელობის ქარხნის ზეინკლმა შ. თათარაშვილმა—10 წლისა და სხვ. დიდი საწარმოო აღმავლობით აღინიშნა საქართველოს ახალგაზრდობამ თავისი მზრუნველი მეგობრისა და მასწავლებლის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავი. ამ შესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით ჭიათურის ახალგაზრდა მუშებმა 6-დან 21 დეკემბრამდე გეგმის ზევით 17.921 ტონა მარგანეცი გამოიღეს.

შესანიშნავად მუშაობს რესპუბლიკის კოლმეურნე ახალგაზრდობა. მიმდინარე წელს შექმნილია და წარმატებით მუშაობს 2.493 ახალგაზრდული მაღალი მოსავლის რგოლი და ბრიგადა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 123 მოწინავე კოლმეურნე ახალგაზრდას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო სახელი. მათ შორის 86 კომკავშირელია. საგრძნობლად გაუმჯობესდა ზრუნვა კომკავშირელთა პოლიტიკური აღზრდისათვის. ერთიორად გაიზარდა პოლიტწრეებისა და პოლიტსკოლების რიცხვი, რომლებშიც გაერთიანებულია 74.000-ზე მეტი ახალგაზრდა, ხოლო 19.500 ახალგაზრდა ჩაბმულია პარტიული განათლების ქსელში, გაუმჯობესდა მუშაობა კომკავშირული ორგანიზაციების ზრდისათვის. საქართველოს კომკავშირის XVII ყრილობის შემდეგ კომკავშირში მიღებულია 40.268 ახალგაზრდა, შექმნილია 665 პირველადი ორგანიზაცია. კომკავშირული ორგანიზაციების ზრდის საქმეში მაინც საგრძნობი ნაკლოვანებანია. ქვლავ ნელი ტემპით იზრდება ქალაქ თბილისის კომკავშირის ორგანიზაცია (კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის, სატრიკოტაჟო კომბინატის, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, ცენტრალური ტელეგრაფისა და სხვა ორგანიზაციები). ნაკლები ყურადღება ექცევა კომკავშირის ზრდას სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლების მოსწავლეთა და კოლმეურნე ახალგაზრდობის მიღებით. სამხრეთ ოსეთის ოლქის, ახმეტის, თელავის, თეთრი წყაროს რაიონების ბევრ კოლმეურნეობასთან ჯერ კიდევ არ არის შექმნილი პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები. იმის გამო, რომ არასაკმაოა ზრუნვა მცირერიცხოვანი ორგანიზაციების გამსხვილებისათვის, მიმდინარე წლის 11 თვეში ლიკვიდირებულია 355 პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია. ბევრ ორგანიზაციაში ადგილი აქვს კომკავშირში მისაღებთა გამოცდის არასწორ პრაქტიკას, არის კამპანიურობა, კომკავშირში ხელაღებით მიღება, აგვიანებენ ბილეთების გაცემას (რუსთავის საქალაქო, კომიტეტი, ასპინძის, ბოლნისის, გურჯაანის, დმანისის, ყაზბეგის, საგარეჯოს და სხვა რაიკომები).

დასასრულ ამხ. ზოდელავამ ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, კომკავშირგარეშე ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხებზე.

ამხ. ზოდელავას მოხსენების გამო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: მ. მეგრელიშვილმა (საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტი), ა. ქვარცხავამ (საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტი), მ. ლაზარაშვილმა, თ. დუდაურმა (დუშეთი), შ. გახოკიძემ (ახმეტა), ვ. ხანჯალაშვილმა (თელავი), გ. ჩიჩუამ (რუსთავი), ი. გოგოლაშვილმა (ქუთაისის ავტოქარხანა), ვ. წიკლაურმა (თეთრი წყარო), შ. თათარაშვილმა (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი), დ. სამადაშვილმა (კომკავშირის სტალინის რაიკომი), ა. გობრონიძემ (კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტი), ვ. დოლბაიამ (ფოთი), ქ. ნარუსლიშვილმა (ახმეტა).

მეორე საკითხზე მოსმენილ იქნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. მ. ჟორჟიკაშვილის მოხსენება.

პიონერთა ორგანიზაციები,—აღნიშნა მან,—მოწოდებული არიან აღზარდონ შრომისმოყვარე, პატრიოტი ახალგაზრდები. ამ დიდ მუშაობაში მათ ყოველდღიურად უნდა ხელმძღვანელობდნენ სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები. პიონერთა ორგანიზაციების უნარიანი მუშაობა დიდად არის დამოკიდებული უფროს პიონერხელმძღვანელზე. უფროს პიონერხელმძღვანელებად უნდა შევარჩიოთ მოწინავე, პოლიტიკური და პედაგოგიური ცოდნით შეიარაღებული ახალგაზრდობა. საჭიროა ჩავაბათ ისინი დაუსწრებელ პედაგოგიურ სწავლებაში. რესპუბლიკაში 1.314 პიონერხელმძღვანელს არა აქვს პედაგოგიური განათლება, სამხრეთ ოსეთის ოლქში 17 პიონერხელმძღვანელს საშუალო განათლებაც არა აქვს. მთელ რიგ რაიონებში არ ზრუნავენ პიონერხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. მაგალითად, პიონერხელმძღვანელთა მომზადება-გადამზადების რესპუბლიკურ სკოლაში გამოგზავნის საკითხს არასერიოზულად ეკიდებიან სამხრეთ ოსეთის, ახალქალაქის, თეთრი წყაროს, ქუთაისის, ყაზბეგის კომკავშირული ორგანიზაციები. მომხსენებელი შეჩერდა აგრეთვე სკოლის გარეშე დაწესებულებებისა და კერძოდ პიონერთა სასახლის მუშაობის ზოგიერთ საკითხზე.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს კ. ჯიოევმა (სამხრეთ ოსეთი), თ. ვარდანაშვილმა (ქუთაისი), გ. ურიდიამ (სოხუმი), ო. დოლაბერიძემ (თბილისის ვაჟთა 41-ე სკოლა), ა. მინდიაშვილმა (თბილისის ვაჟთა მე-3 სკოლა), ე. აგლაძემ (პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე), ნ. კახაძემ (ბორჯომი), ო. ქინქლაძემ (კომკავშირის თბილისის კომიტეტი), ქ. თოხაძემ (თბილისის ქალთა მე-2 სკოლა), ი. ხუციშვილმა (თბილისის ვაჟთა მე-14 სკოლა), თ. გელაშვილმა (გაზეთი „ნორჩი ლენინელი“).

პლენუმმა განხილულ საკითხებზე მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგემ ამხ. კ. ჰოჰინაძემ, საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ამხ. ვ. კუპრაძემ, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა ორგანიზატორმა ამხ. ვ. ჩუპიმ.

ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის

გუშინ ერთი წელი შესრულდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების დღიდან. აღნიშნულმა დადგენილებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარების საქმეში, აღაფრთოვანა მილიონობით საბჭოთა ადამიანი ახალი სპორტული წარმატებებისათვის, უფრო მაღალ დონეზე აიყვანა ფიზკულტურული მოძრაობა.

საქართველოს ფიზკულტურელები ახალი მიღწევებით აღნიშნავენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების წლისთავს.

განვლილი წელი საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში გარდატეხის წელი იყო. ასრულებდნენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მთელი თავიანთი საქმიანობა წარმართეს სპორტულ მუშაობაში ახალგაზრდობის ახალი მასების ჩასაბმელად, არსებული ფიზკულტურული კოლექტივების განსამტკიცებლად და ახალი კოლექტივების შესაქმნელად. ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებას დიდად შეუწყეს ხელი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ წელს მიღებულმა დადგენილებებმა რესპუბლიკაში ფეხბურთის, ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, კალათბურთის, კლასიკური ჭიდაობისა და ჩოგბურთის განვითარების საკითხებზე.

მიმდინარე წლის დასასრულისათვის ფიზკულტურული კოლექტივების რაოდენობა საქართველოში აყვანილია 5.500-მდე. განვლილი წელი იმითაც არის დამახასიათებელი, რომ ფიზკულტურა და სპორტი მტკიცედ შეიჭრა საკოლმეურნეო სოფლის ყოფაცხოვრებაში. ახლა 2.081 საკოლმეურნეო ფიზკულტურულ ორგანიზაციაში გაერთიანებულია 60 ათასზე მეტი სპორტსმენი. სოფლად საკმაოდ გავრცელებულ სპორტის ნაციონალურ სახეებთან ერთად კოლმეურნე სპორტსმენები ხალისით მისდევენ ფეხბურთს, მძლეოსნობას, ალპინიზმს, ფრენბურთსა და კალათბურთს. ამიტომ გასაგებია ის აღფრთოვანება, რაც გამოიწვია სოფლად საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოების შექმნის შესახებ. მთელი მუშაობა ახალი სასპორტო საზოგადოების ორგანიზაციულად გაფორმებისათვის დაგვირგვინდა საზოგადოების პირველი რესპუბლიკური კონფერენციით, რომელმაც მუშაობა გუშინ დაამთავრა.

ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობისა და სპორტსმენთა ოსტატობის შემდგომი ამაღლების საფუძველს წარმოადგენს კომპლექსის „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ ნორმების ჩაბარება. წელს ყველა საფეხურის მშთ ნიშნოსნების მომზადების გეგმა დიდი და რთული იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მშთ ნიშნოსნების მომზადების წლიური დავალება რესპუბლიკაში უკვე 1 დეკემბრისათვის გადაჭარბებით იქნა შესრულებული. მომზადებულია მშთ პირველი საფეხურის 51.956, მშთ მეორე საფეხურის 4.848 და იმშთ 40.688 ნიშნოსანი. ერთი წლის მანძილზე მომზადებულია პირველი თანრიგის 526 სპორტსმენი (გეგმის 117 პროცენტი), მეორე თანრიგის 2.303 სპორტსმენი (142 პროცენტი), მესამე თანრიგის 10.147 სპორტსმენი (147 პროცენტი) და ჭაბუკთა თანრიგის 3.453 სპორტსმენი (135 პროცენტი).

რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის ზრდასთან ერთად დღითიდღე მაღლდება სპორტსმენთა ოსტატობა. საქართველოს სპორტსმენებმა წელს თითქმის 300 შესწორება შეიტანეს რესპუბლიკური რეკორდების ცხრილში. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს მძლეოსნებმა, რომლებმაც 62 რეკორდი დაამყარეს, ველოსიპედისტებმა, რომლებმაც, ორის გარდა, ყველა წინანდელი რეკორდი გააუმჯობესეს.

საქართველოს სპორტის ისტორიას ჯერ არ ახსოვს ასეთი მასობრივი რეკორდები. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებიდან განვლილი ერთი წლის მანძილზე რეკორდების რაოდენობა 1948 წელთან შედარებით რესპუბლიკაში ერთისამად და უფრო მეტად გაიზარდა. რესპუბლიკური რეკორდების უმრავლესობის დონე აღემატება პირველი თებერვლის ნორმას. 10 შეძთხვევაში საქართველოს სპორტსმენების მიერ მიღწეული შედეგები საკავშირო რეკორდებზე მაღალი იყო.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში მიგვითითა, რათა ფართოდ განვავითაროთ სპორტის ხალხური სახეები. სპორტის ნაციონალური სახეების განვითარებას ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი უდიდეს ყურადღებას აჩქცევს. ქართველ ხალხში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ კოლმეურნე მხედრების საცხენოსნო-სპორტული თამაშობები — ისინდი, ყაბახი, ჩოგანბურთი, დოღი და მარულა. ნამდვილ სახალხო დღესასწაულად იქცა მიმდინარე წელს ჩატარებული რესპუბლიკური საცხენოსნო შეჯიბრება ლ. პ. ბერიას სახელობის თასზე, რომელსაც 300 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

მოპოვებულ მიღწევებთან ერთად საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობას ახასიათებს მთელი რიგი ნაკლოვანებები. ზოგიერთმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ, პირველ რიგში კი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისამ, დღემდე ვერ მიაღწია მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებას.

საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს 1950 წელს მოელით დიდი და სერიოზული მუშაობა, რომელმაც ახალ, მაღალ დონეზე უნდა აიყვანოს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარება. ამ სამუშაოთა შორის კვლავ მთავარია შემდგომი ბრძოლა სპორტის მასობრიობისათვის, სპორტულ მეცადინეობაში ახალგაზრდობის ფართო ფენების ჩაბმისათვის, სპორტსმენთა ოსტატობის დონის ახალი აღმავლობისათვის, მათი სპორტულ-ტექნიკური შედეგების გაუმჯობესებისათვის.

ეჭვი არ არის, საქართველოს ფიზკულტურელები და სპორტსმენები ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად დიდი სტალინის ყურადღებასა და ზრუნვას ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის უპასუხებენ თავიანთი რიგების შემდგომი ზრდით, სპორტული ოსტატობის ამაღლებით და მრავალი ახალი რეკორდის მოპოვებით.

ა. ფარულავა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე

კინო

„სტალინგრადის ბრძოლა“*)

სტალინგრადი! რამდენჯერ მდგარა ეს ქალაქი კატასტროფის საშიშროების ცენტრში! რა ბევრ რამეს ეუბნება იგი საბჭოთა ხალხის გულს! ამ ქალაქთან დაკავშირებულია სამოქალაქო ომის უბრწყინვალესი ფურცლები, მასთან განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი აღმავლობა. 1942-1943 წლებში ომის ცეცხლით მოცულ მსოფლიოში კვლავ ელვარებდა სტალინგრადის სახელი და დიდება.

სტალინგრადი! დღესაც ამაყად გაისმის გმირობის უჭკნობი შარავანდედით მოსილი ამ გმირი ქალაქის სახელი დედამიწის ყოველ კუთხეში.

დგას ქალაქი სიმაგრე ვოლგის ნაპირზე... ისევე, როგორც 1918 წელს ამხანაგ სტალინის ძლიერმა ნებისყოფამ და საბჭოთა ადამიანების სმენა-ტკიცემ უზრუნველყო ცარიცინის დაცვის წარმატება, დიდი სამამულო ომის წლებშიც სტალინგრადი მთელი მსოფლიოს წინაშე წარმოსდგა ამ ურყევი ნებისყოფით, ამ შესანიშნავი სიმტკიცით.

სტალინგრადის გმირული დაცვის, მის დამცველთა უმაგალითო სიმამაცისა და სიმტკიცის, ბრძნული სტალინური მხედართმთავრული ხელოვნების შესახებ მკაფიოდ არის მოთხრობილი ხმოვან მხატვრულ ფილმში „სტალინგრადის ბრძოლა“, რომლის პირველი სერია ეკრანებზე უჩვენეს მიმდინარე წლის პირველ ნახევარში.

გუშინწინ თბილისის კინოთეატრებში დაიწყო ამ შესანიშნავი ფილმის მეორე სერიის ჩვენება. მასში განსაკუთრებული სიდიადით არის წარმოსახული ვოლგის ნაპირებზე მომხდარი, ომების ისტორიაში უდიდესი ბრძოლების მთელი ეპოპეა.

სტალინგრადთან ჰიტლერელთა ჯარების განადგურებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის მთელი მსვლელობისათვის. ბრძენმა მხედართმთავარმა ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა გენიალური სტრატეგიული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა გერმანელ ფაშისტთა 300-ათასიანი არმიის გარშემორტყმასა და განადგურებას. საბჭოთა მეომრებმა სტალინური გეგმის განხორციელებით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ეს იყო ყველაზე შესანიშნავი და უბრწყინვალესი გამარჯვება ომების ისტორიაში; ეს იყო სამხედრო ხელოვნების ჭეშმარიტი გვირგვინი, სტალინური სტრატეგიისა და ტაქტიკის ბრწყინვალე ზეიმი. სტალინგრადი გახდა საბჭოთა ადამიანების გმირობისა და ვაჟკაცობის, საბჭოთა არმიის ძლიერებისა და მამაცობის სიმბოლო. „სტალინგრადი გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენება იყო. სტალინგრადში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ გერმანელებმა, როგორც ცნობილია, ვეღარ შეძლეს წელში გამართულიყვნენ“ (სტალინი).

უყურებთ ეკრანს და მღელვარება გიპყრობთ. ეკრანზეა კრემლი. ამხანაგ სტალინის კაბინეტი. ვასილევსკი მოახსენებს უმაღლეს მთავარსარდალს სტალინგრადთან ჰიტლერელთა ჯარების გარშემორტყმის ოპერაციისათვის მზადების შესახებ. ყველაფერი ზუსტად გაანგარიშებული გეგმით სრულდება. მთავრდება დაძაბებითი ძალებისა და საბრძოლო საშუალებათა თავმოყრა, ფრონტის შიგნით წარმოებს ჯარების გადაჯგუფება, დამკვრელი ჯგუფების შექმნა. უკვე მოთავებულია სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ფორმირება, რომელიც გამიზნულია გერმანელთა სტალინგრადის დაჯგუფების წინააღმდეგ მთავარ დამრტყმელ ძალად. მზადდება მტერზე გადამწყვეტი დარტყმა. მანამდე კი ვოლგის ნაპირზე ბლიერ შევიწროებული ჩუიკოვის 62-ე არმია ჭეშმარიტად გმირულ ბრძოლას ეწევა მრავალრიცხოვანი მტრის ურდოების წინააღმდეგ. მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან სტალინგრადის დამცველები. ამხანაგმა სტალინმა იცის ეს, ზრუნავს მათთვის... ისმის ტელეფონის ზარის ხმა. სტალინი უსმენს და შემდეგ ეუბნება ვასილევსკის:

— დღეს განთიადზე გერმანელებმა 150 ტანკით გაძლიერებული ახალი დივიზია გამოიყვანეს. დღის ბოლოს ისინი გაიჭრნენ სატრაქტორო ქარხნისაკენ და ჩუიკოვის არმიას მოჰკვეთეს პოლკოვნიკ გოროხოვის ჯგუფი... სატრაქტორო ქარხანა დაიკავეს.

ამხანაგი სტალინი ვასილევსკის აძლევს მითითებას დაუყოვნებლივ გაუწიოს დახმარება სტალინგრადელებს დონის ფრონტის ძალებით და ჩუიკოვის განკარგულებაში გაგზავნოს ლიუდნიკოვის დივიზია მთავარი ბანაკის რეზერვიდან.

*) „სტალინგრადის ბრძოლა“. მხატვრული ფილმი. მეორე სერია. სცენარი ნ. ვირტასი, დადგმა ვ. პეტროვისა. რეჟისორი ნ. დოსტალი. მთავარი ოპერატორი ი. ეკელჩიკი. მხატვარი ლ. მამალაძე. კომპოზიტორი ა. ხაჩატურიანი. ხმის ოპერატორი ვ. პოპოვი. „მოსფილმის“ კინოსტუდიის ნაწარმოები.

კადრი ფილმიდან „სტალინგრადის ბრძოლა“ (მეორე სერია).

★

ნანგრევებსა და სანგრებში საბჭოთა მეომრები სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლას ეწევიან გამხეცებულ ჰიტლერელთა წინააღმდეგ.

მაყურებელი ხედავს ცეცხლმოდებულ სტალინგრადს. უდიდესი ბრძოლის დაძაბული მომენტებია. გაშმაგებული მტერი მოძვრება ვოლგისაკენ, საბჭოთა მეომრები გმირულად იგერიებენ ჰიტლერელთა ეერიშებს. ფრონტის ქარხნები, იხგრევა სახლები. ჩუიკოვის საკომანდო პუნქტის მახლობლად ნაღმის აფეთქება აზანზარებს ბლინდაჟს, იმსხვრევა ლამპის შუშა. როდიმცევი იტყობინება, რომ გერმანელებმა ახალი შემოტევა დაიწყეს.

მდგომარეობა მეტად დაძაბულია. ძალაუნებურად იბადება კითხვა: არის თუ არა ისეთი ძალა, რომელიც წინ აღუდგება ცეცხლისა და ლითონის ამ განუწყვეტელ ნიაღვარს? ამაზე ბევრი ფიქრი არ არის საჭირო. დიახ, არის ასეთი ძალა! იგი თვითონ ჩვენი მეომრების რკინისებურ სიმტკიცეშია, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი მათს უსაზღვრო ერთგულებაშია, სამშობლოსადმი მათს მხურვალე სიყვარულშია, მათს მამაცობასა და გამძლეობაშია.

ვოლგა ყინულითაა დაფარული. ჩუიკოვის 62-ე არმიის დასახმარებლად ამხანაგ სტალინის მიერ გაგზავნილ ლიუდნიკოვის დივიზიას შემოეღია საბრძოლო მასალა. ვოლგაზე შეჩერებულია ფრონტის მომარაგება საბრძოლო მასალით. ამხანაგ სტალინის კაბინეტში შემოდის ვასილევსკი. იგი მოახსენებს უმაღლეს მთავარსარდალს:

— ყინულის დაძერამ სრულიად მიშალა და შეწყვიტა კავშირი მარცხენა ნაპირთან. დივიზიებში საბრძოლო მასალა არ არის, შეესება არ მიდის, დაჭრილები ვერ გამოყავთ

ვასილევსკი მოახსენებს დიდ სტალინს, რომ საბრძოლო მასალისა და სურსათის გადაზიდვა ხდება თვითმფრინავებით. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ვოლგის ფლოტილიის კატერები ყოველ ღამეს ცდილობენ გაჭრან სტალინგრადისაკენ, მაგრამ უშედეგოდ. ვოლგა დღე და ღამ მტრის ცეცხლშია, ამავე დროს მჭიდროდ არის გავსებული ყინულით. ამხანაგი სტალინი ეუბნება ვასილევსკის:

— გადაეცით ვოლგის ფლოტილიის მეზღვაურებს, საჭიროა გაიჭრან სტალინგრადისაკენ.

მაყურებელი დაძაბულად ადევნებს თვალყურს, თუ რა თავგანწირვით, შესანიშნავი გმირობით ასრულებენ მეზღვაურები სამშობლოს ბრძანებას, ამხანაგ სტალინის ბრძანებას. დიდი სტალინის დახმარებამ მიაღწია სტალინგრადის დამცველებთან! ამ ცნობას განსაკუთრებული სიხარულით ხვდებიან მეომრები.

დიდი სტალინის სიყვარული სამშობლოს დამცველებისადმი, მისი მამობრივი ზრუნვა მათი საჭიროებებისადმი იგრძნობა ფილმის თვითეულ კადრში. საბჭოთა არმიის ჯარისკაცებს, სერჟანტებს, ოფიცრებს, ყველა მეომარს ახარებს ბელადის ასეთი ყურადღება, აღაფრთოვანებს მათ ახალ-ახალი საგმირო საქმეებისათვის.

1942 წლის 7 ნოემბრის ღამე. ერთ-ერთი ქარხნის საამქროს მუშები უდიდესი ყურადღებით ისმენენ უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებას რადიოთი. ომის დროის მძიმე შრომაში გამოწრთობილ ადამიანებს თვალები სიხარულით გაუბრწყინდებათ, როცა მოისმენენ ბრძანების შემდეგ სიტყვებს:

„მტერმა ერთხელ უკვე იგემა წითელი არმიის დარტყმათა ძალა როსტოვთან, მოსკოვთან, ტიხვინთან. შორს არ არის ის დღე, როდესაც მტერი გაიგებს წითელი არმიის ახალ დარტყმათა ძალას. ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული!“

ფილმის მომდევნო კადრს გადავყვართ კვლავ კრემლში. 19 ნოემბერი. ამხანაგ სტალინის კაბინეტი. ამხანაგი სტალინი თავის თანამებრძოლთა — პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შორისაა. უმაღლესი მთავარსარდალი იღებს ტელეფონით საბრძოლო მოქმედების რაიონში ჩასულ ვასილევსკის ეუბნება:

— დაიწყეთ, ამხანაგო ვასილევსკი! და აი მძლავრი საბჭოთა არმია იწყებს თავის ძლევამოსილ შეტევას, რომლის ბადალიც ომების ისტორიას არ ახსოვს.

ათასობით საბჭოთა ქვემეხი, გვარდიული ნაღმსატყორცნი, ტანკები, ბომბდამშენები და მოიერიშეები—ყველა გვარეობის ჯარები იწყებენ მოქმედებას. ჰიტლერელთა სიმაგრეები იმსხვრევა, მათი თავდაცვის სისტემა იშლება, ფაშისტები უგზოუკვლოდ გარბიან. საბჭოთა მეომრების ვაჟკაცობა და გმირობა განსაცვიფრებელი ოსტატობით არის წარმოსახული ფილმის ბატალურ სცენებში.

პაულიუსის შტაბში პანიკაა. თავგზააბნეული გენერლები ცდილობენ კონტრზომების მიღებას, მაგრამ მათი ცდა უშედეგოა. ინიციატივა საბჭოთა სარდლობის ხელშია. ფლანგებზე განლაგებულ მოწინააღმდეგის დაჯგუფებათა განადგურების შემდეგ იწყება ჩვენი ჯარების შემოვლითი სწრაფი მოძრაობა. ამხანაგი სტალინი განუწყვეტლივ, უდიდესი ყურადღებით ადევნებს თვალყურს ბრძოლების მსვლელობას. იგი ვასილევსკის ეუბნება ტელეფონით:

— არ შეაჩეროთ საბრძოლო მოქმედება ღამითაც, სდევნეთ და ანადგურეთ მოწინააღმდეგე.

სტალინური მითითებანი უნაკლოდ სრულდება. სამხრეთ-დასავლეთისა და სტალინგრადის ფრონტის ჯარები შეერთდნენ. ფაშისტური გერმანიის ჯარები ქვაბში მოექცნენ. გარშემორტყმულ ჰიტლერელთა ჯარებისათვის გარედან დახმარების ყველა ცდას ფუშავს საბჭოთა სარდლობა.

ამხანაგ სტალინის მითითებით საბჭოთა სარდლობა იჩენს სულგრძელობას და წინადადებას აძლევს პაულიუსს უბრძოლველად დაყაროს იარაღი. წინააღმდეგობა უიმედოა, რატომ უნდა დაიღვაროს ზედმეტი სისხლი! მაგრამ პაულიუსის მოხსენებას საბჭოთა წინადადების შესახებ ჰიტლერი ისტერიული უარით უპასუხებს.

ამის შემდეგ საბჭოთა არტილერისტები თავის გამანადგურებელ ცეცხლს მიმართავენ თავზეხელაღებული ჰიტლერელების წინააღმდეგ. პაულიუსს ბრძოლაში გამოჰყავს უკანასკნელი რეზერვები. იგი წერს მიმართვას ჯარისკაცებისადმი: „იმედი ვიქონიოთ ახლო მომავალში ხსნისა, რომელიც ჩვენკენ მოდის“. ადიუტანტი ეკითხება პაულიუსს:

— რა მოდის ჩვენკენ?

— სიკვდილი! — უპასუხებს პაულიუსი.

საბჭოთა მეომრები ქალაქის ცენტრში არიან. ბრძოლები გრძელდება უკანასკნელ კვარტალში, უკანასკნელ სახლში... დიდი უნივერსალური მაღაზიის სარდაფში პაულიუსი და მისი შტაბის ოფიცრები იარაღს ყრიან. მტერი დამარცხებული და განადგურებულია.

უმაღლესი მთავარსარდალი ამხანაგი სტალინი თავის კაბინეტში ხის და გამადიდებელი შუმით ხელში დასცქერის რუკას. შუმა ნელნელა მოძრაობს და ჩერდება ერთ გეოგრაფიულ პუნქტზე წარწერით „ბერლინი“.

ამხანაგი სტალინი გასცქერის შორს. იგი ხედავს გამარჯვების ძლევამოსილ გზას სტალინგრადიდან ბერლინამდე, ვოლგიდან ელბამდე...

ასე მთავრდება ეს შესანიშნავი ფილმი.

ფილმი „სტალინგრადის ბრძოლა“ საბჭოთა კინოხელოვნების მუშაკთა უდიდესი გამარჯვებაა. მასში მთელი სიმართლით წარმოქმნილია ჩვენი დროის უდიდესი მხედართმთავრის ი. ბ. სტალინის მიერ გენიალურად გაბრწყინებული სტრატეგიული ოპერაციების განხორციელება საბჭოთა არმიის მიერ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შესანიშნავი თამაში სსრ კავშირის სახალხო არტისტის ა. დიკისა, რომელიც ფილმში ამხანაგ სტალინის როლს ასრულებს. დანარჩენი მსახიობებიდან აღსანიშნავნი არიან ნ. სიმონოვი (ჩუიკოვი), ბ. ლივანოვი (როკოსოვსკი) და ი. შუმსკი (ვასილევსკი).

ფილმი „სტალინგრადის ბრძოლა“ საბჭოთა ადამიანებში კანონიერად იწვევს ჩვენი სოციალისტური სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობას, უსაზღვრო მადლობისა და მხურვალე სიყვარულის გრძნობას ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი, რომლის სახელთანაც განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა ქვეყნის ბრწყინვალე ისტორიული გამარჯვებანი კომუნიზმისათვის ძლევამოსილი ბრძოლის სახელოვან გზაზე.

ა. კოკილაშვილი

მოსკოვიდან გაემგზავრნენ უცხოეთის დელეგაციები

მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრნენ უცხოეთის დელეგაციები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში. გაემგზავრნენ: ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია ვ. შიროკის, ლ. სვობოდას, მ. შვერმოვას მეთაურობით, პოლონეთის რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია, რომელსაც ფ. იუზვიაკი მეთაურობდა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია გეორგიუ-დეჟის და ანა პაუკერის მეთაურობით, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია, რომელსაც ვილკო ჩერვენკოვი, გეორგი ჩანკოვი, მინჩო ნეიჩევი მეთაურობდნენ, უნგრეთის რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია.

26 დეკემბერს გაემგზავრნენ აგრეთვე ფინეთის კომპარტიის დელეგატები ვილე პესი და ჰერტა კუუსინენი, შვეციის კომპარტიის დელეგატი ჰილდინგ ჰაგბერგი.

უცხოელი სტუმრები გააცილეს ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შექმნილი კომიტეტის წარმომადგენლებმა, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მოსკოვში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების მეთაურებმა. (საკდესი).

სოფიის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს ი. ბ. სტალინის სახელი მიეკუთვნა

სოფია, 26 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ სოფიის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ დიდი ზეიმი გამართა იმის გამო, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებით ინსტიტუტს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სახელი მიეკუთვნა.

ზეიმს დაესწრნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ელექტროფიკაციისა და მელიორაციის მინისტრი კიმონ გეორგიევი, მრეწველობის მინისტრი ვილკო გონევი, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ზდრავკო მიტოვსკი, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე სავა განოვსკი, სამაფულო ფრონტის ეროვნული საბჭოს მდივანი გოჩო გროზევი, აკადემიკოსები ტოდორ პავლოვი და გეორგი ნაჯაკოვი, სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთში ბოდროვი.

ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა კვარტირნიკოვმა გააკეთა მოხსენება თემაზე „სტალინური მოძღვრება კადრების შესახებ".

დასასრულ რექტორმა ელჩ ბოდროვს გადასცა ინსტიტუტის მთელი კოლექტივის მიერ ხელმოწერილი ადრესი ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი.

მთავრობის კრიზისი სირიაში

გადადგა პრეზიდენტი ჰაშიმ ატასი

პარიზი, 26 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი დამასკოდან გადმოგვცემს, სირიის პრეზიდენტმა ჰაშიმ ატასიმ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს მიმართა წერილით, რომლითაც განაცხადა, რომ იძულებულია გადადგეს, რადგან მას „ხელი შეუშალეს შეედგინა მთავრობა თავისი სინდისისა და საზოგადოებრივი აზრის თანახმად".

პარიზი, 26 დეკემბერი. (საკდესი). ფრანსპრესის სააგენტოს კორესპონდენტი დამასკოდან გადმოგვცემს, რომ სირიის დამფუძნებელმა კრებამ უარყო ჰაშიმ ატასის გადადგომა და დაავალა კომისიას სამი კაცის — ფაიზი ატასის, აკრამ ჰაურანისა და მუსტაფა საბაის შემადგენლობით სთხოვოს პრეზიდენტს უკან დაიბრუნოს განცხადება გადადგომის შესახებ.

ამ კომისიას აგრეთვე დაევალა შუამავლობა გასწიოს პარლამენტის ყველა ჯგუფის წარმომადგენლებს შორის ახალი მთავრობის შედგენის მიზნით.

სასამართლო პროცესი იაპონიის არმიის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა საქმეზე, რომელთაც ბრალად ედებათ ბაქტერიოლოგიური იარაღის მომზადება და გამოყენება

ხაბაროვსკი, 25 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ დღის 12 საათზე ადგილობრივი დროით დაიწყო სასამართლო პროცესი იაპონიის არმიის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა—ოტაზოო იამადას, რიუძი კაძიცუკის, ტაკაკუ ტაკახასის, კიოსი კავასიმას, ტოსიხიდე ნისის, ტომიო კარასავას, მასაო ონოუეს, სიუნძი სატოს, ძენსაკუ ხირაზაკურას, კაძუო მიტომოს, ნორიმიცუ კიკუჩისა და იუძი კურუსიმას საქმეზე, რომელთაც ბრალად ედებათ ბაქტერიოლოგიური იარაღის მომზადება და გამოყენება — დანაშაული, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 19 აპრილის ბრძანებულების I მუხლით.

საქმეს იხილავს ზოვისპირეთის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — იუსტიციის გენერალ-მაიორი დ. დ. ჩერტკოვი, ტრიბუნალის წევრები — იუსტიციის პოლკოვნიკი მ. ლ. ილიცკი და იუსტიციის პოდპოლკოვნიკი ი. გ. ვორობიოვი.

სახელმწიფო ბრალდებას მხარს უჭერს იუსტიციის III კლასის სახელმწიფო მრჩეველი ლ. ნ. სმირნოვი.

ბრალდებულებს იცავენ ადვოკატები: ნ. კ. ბოროვიკი, ნ. პ. ბელოვი, ს. ე. სანიკოვი, ა. ვ. ზვერევი, პ. ი. ბოგაჩოვი, გ. კ. პროკოპენკო, ვ. პ. ლუკიანცევი, დ. ე. ბოლხოვიტინოვი.

სასამართლოს დარბაზში, რომელიც გაჭედილია ხალხით, არიან ხაბაროვსკის ფაბრიკა-ქარხნების მუშები, მოსამსახურეები, მეცნიერები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

დილის სხდომა დაიწყო საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნებით. ყველა ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო მათთვის წაყენებულ ბრალდებაში.

საღამოს სხდომა მოუნდა ბაქტერიოლოგიური იარაღის ძიების, წარმოებისა და გამოყენების ერთ-ერთი უშუალო აქტიური მონაწილის ბრალდებულ კიოსი კავასიმას დაკითხვას. სპეციალობით ბაქტერიოლოგი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, იგი რამდენიმე წლის განმავლობაში რიგრიგობით მეთაურობდა იაპონიის კვანტუნის არმიის № 731 რაზმის თითქმის ყველა უმნიშვნელოვანეს განყოფილებას, პირადად მონაწილეობდა ცოცხალ ადამიანებზე რაზმის მიერ მასობრივი დანაშაულებრივი „კვლევისა" და „ცდების" ჩატარებაში. 1941 და 1942 წლებში კავასიმა იყო ცენტრალურ ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის საბრძოლო გამოყენებისათვის სპეციალური ექსპედიციის მომზადების ერთ-ერთი ორგანიზატორი.

— № 731 რაზმი შეიქმნა 1936 წელს იაპონიის იმპერატორ ხიროხიტოს ბრძანებულებით, — აჩვენებს კავასიმა.

— რამდენადაც მახსოვს, — ამბობს ბრალდებული, — იმპერატორის 1940 წელს გამოცემული საიდუმლო ბრძანებულებით, № 731 რაზმის წევრთა რაოდენობა განსაზღვრული იყო 3.000 კაცით. რაზმის თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა შედგებოდა სპეციალისტ-ბაქტერიოლოგებისა და იმ ადამიანებისაგან, რომელთაც ერთგვარი მომზადება ჰქონდათ ბაქტერიოლოგიის დარგში. კვანტუნის არმიის მთავარსარდლის ბრძანებით რაზმის განლაგების რაიონი გამოცხადებული იყო აკრძალულ ზონად, რომლის თავზეც თვითმფრინავებსაც კი აკრძალული ჰქონდათ ფრენა.

№ 731 რაზმის შესანახად მნიშვნელოვან სახსრებს იძლეოდნენ. მაგალითად, 1940 წელს ასიგნებული იყო 10 მილიონი იენი აქედან 5 მილიონი იენი ასიგნებული იყო ექსპერიმენტულ სამუშაოთა შესასრულებლად.

ბრალდებული კავასიმა უპასუხებს პროკურორის კითხვებზე და ლაპარაკობს № 731 რაზმის სტრუქტურაზე, რომელსაც რვა განყოფილება ჰქონდა. პირველი განყოფილება ეწეოდა ძირითად საგამოკვლეო მუშაობას ბაქტერიოლოგიური იარაღის მომზადების დარგში და ატარებდა ექსპერიმენტებს ცოცხალ ადამიანებზე. რაზმის ძირითადი კორპუსის კვადრატის შუაგულში იყო სპეციალური საპატიმრო, რომელიც დაფარული იყო გარეშეთა თვალისთვის. აქ იმყოფებოდნენ ჩინელი პატრიოტები და რუსები, რომლებზეც ძალით ატარებდნენ მომაკვდინებელი ბაქტერიების მოქმედების ცდებს. პატიმართა შორის იყვნენ ქალებიც, მათ შორის ძუძუთა ბავშვებიანი ქალები. რაზმის ტერიტორიაზე, საპატიმროს გარდა, იყო კრემატორიუმი, სადაც წვავდნენ ნაწამებ ადამიანთა გვამებს. თუ ის კაცი, რომელმაც სათანადო მომაკვდინებელი ბაქტერიებით დაავადება განიცადა, არ მოკვდებოდა, მას იყენებდნენ მეორადი ექსპერიმენტებისათვის. და ასე ხდებოდა მანამდე, სანამ იგი კრემატორიუმის ღუმელში არ მოხვდებოდა.

პროკურორი: მაშასადამე, ყოველი ადამიანი, ვინც № 731 რაზმის საპატიმროში მოხვდებოდა, აუცილებლად იქ უნდა მომკვდარიყო?

კავასიმა: დიახ, აგრეა.

ხუთი წლის მანძილზე რაზმის საპატიმროში მომაკვდინებელი ბაქტერიებით ძალად დაავადებისაგან სამნილი ტანჯვით დაიღუპა სამი ათასამდე კაცი.

№ 731 რაზმის მეორე განყოფილება მომაკვდინებელი ბაქტერიებით ექსპერიმენტებს ახორციელებდა სველე პირობებში. ამ განყოფილებაში ცდიდნენ სხვადასხვა ნიმუშის ბაქტერიოლოგიურ იარაღს — ინფექციური ბაქტერიებით, შავი ჭირის რწყილებით დატენილ ბომბებს, შემფრქვეველებსა და სხვ.. მეორე განყოფილებაში იყო სპეციალური სექცია, რომელიც მუშაობდა რწყილების გასამრავლებლად. განყოფილებას ანგის სადგური. მახლობლად ჰქონდა თავისი პოლიგონი და თვითმფრინავები.

კავასიმა ცინიკური სიმშვიდით ხატავს შემაძრწუნებელ სურათს, თუ პოლიგონზე როგორ ცდიდნენ შავი ჭირის რწყილებით დატენილ ბომბებს ცოცხალ ადამიანებზე. მაგალითად, 1941 წლის ზაფხულში პოლიგონზე რაზმის საპატიმროდან თვითმფრინავით მოიყვანეს 15 კაცი, რომლებიც აქ რკინის ბოძებს მიაკრეს. შემდეგ თვითმფრინავიდან პოლიგონზე ჩამოყარეს შავი ჭირის რწყილებით დატენილი ფაიფურის ბომბები. ამ ოპერაციის ხელმძღვანელი პოლკოვნიკი ოტა, — აჩვენებს ბრალდებული, — დამწუხრებული იყო იმით, რომ ყველა საცდელი ადამიანი როდი დაიღუპა აქ ექსპერიმენტის დროს, ვინაიდან დიდი სიცხის გამო რწყილების აქტივობა სუსტი იყო.

ბაქტერიოლოგიური ბომბების ფაიფურის გარსი მზადდებოდა № 731 რაზმის მესამე განყოფილებაში.

რაზმის მეოთხე განყოფილების მთავარი ფუნქცია, აჩვენა კავასიმამ, იყო მასობრივი მასშტაბით ბაქტერიების გამოვლება და მოშენება ბაქტერიოლოგიური ომის მიზნებისათვის.

გარდა ამისა, № 731 რაზმს ემორჩილებოდა ოთხი ფილიალი, რომლებიც განლაგებული იყვნენ უშუალოდ საბჭოთა კავშირ-მანჯურიის საზღვრის მახლობლად — ლინკოუში, ხაილინის სადგურთან, ქალაქებში სუნიუსა და ხაილარში.

პროკურორი: მაშასადამე, ადასტურებთ თქვენს ჩვენებას, რომ ეს ფილიალები უნდა ყოფილიყვნენ დასაყრდენი პუნქტები ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოსაყენებლად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის შემთხვევაში და ამიტომ იყვნენ განლაგებულნი უშუალოდ საბჭოთა საზღვრის მახლობლად?

კავასიმა: დიახ, აგრეა.

ბრალდებული შემდეგ აჩვენებს, რომ № 731 რაზმის საქმიანობა განსაკუთრებით გააქტივდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფაშისტური გერმანიის მიერ ომის დაწყების შემდეგ. სპეციალური თათბირზე 1941 წლის ზაფხულში № 731 რაზმის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა სირო ისიმ შეკრიბა რაზმის განყოფილებათა უფროსები და აცნობა, რომ მიღებულია იაპონიის არმიის გენერალური შტაბის უფროსის მითითება ბაქტერიოლოგიური ომის მომზადების დარგში მუშაობის გააქტივების შესახებ. ისიმ, კერძოდ, დასახა ამოცანა, რომ ერთ ციკლში რწყილების მოშენება აყვანილი ყოფილიყო 200 კილოგრამამდე.

მუშაობა გააფართოვა მეოთხე განყოფილებამაც, რომელსაც კავასიმა მეთაურობდა. განყოფილების სიმძლავრე აყვანილ იქნა იქამდე, რომ მას შეეძლო თვეში დაემზადებინა შავი ჭირის 300 კილოგრამი, ან ტიფის 800-900 კილოგრამი, ან ცომბრის წყლულის 500-700 კილოგრამი, ანდა ხოლერის ერთი ტონა ბაქტერიები.

ბრალდებულმა შემდეგ დაწვრილებით ასწერა მომაკვდინებელი ბაქტერიების მოშენების ტექნოლოგია.

შემდეგ კავასიმა ჩვენებას იძლევა ცენტრალური და სამხრეთ ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების შესახებ. ამ მიზნით მოეწყო სპეციალური ექსპედიცია. 1941 წლის ზაფხულში ქალაქ ჩანდეს რაიონში თვითმფრინავებიდან ჩამოყარეს შავი ჭირის რწყილები, რის შედეგადაც მშვიდობიან მოსახლეობაში შავი ჭირის ეპიდემია გაჩნდა.

1942 წლის ივნისში იაპონიის არმიის გენერალური შტაბის ბრძანებით ჩინეთში გაიგზავნა მეორე ექსპედიცია, რომლის მთავარი მიზანი იყო ინფექციური ბაქტერიებით ტერიტორიის მოწამვლა დივერსიული მოქმედების პრინციპის მიხედვით. ამ ოპერაციის ჩატარებასს თვითმფრინავებიდან ყრიდნენ შავი ჭირის რწყილებს, ხოლო ხოლერის, პარატიფს, ციმბირის წყლულის ბაქტერიებს ავრცელებდნენ წმინდა სახით წყალსაცავებს, ჭებისა და მდინარეების ამ ბაქტერიებით მოწამლვის გზით და აგრეთვე სხვა საშუალებებით.

პროკურორი: ბრალდებულო, თქვით, რა მიზეზებით წარმოებდა ბაქტერიოლოგიური ომისათვის მზადება მანჯურიაში და არა იაპონიაში?

კავასიმა: მანჯურია საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ქვეყანაა, და სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის შემთხვევაში იქიდან უფრო ადვილი და მოსახერხებელი იქნებოდა ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება. გარდა ამისა, მანჯურია უფრო მოხერხებულია ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების ექსპერიმენტებისათვის.

პროკურორი: რაში მდგომარეობს მოხერხებულობა?

კავასიმა: მანჯურიაში ტერიტორია საკმაოდაა და, გარდა ამისა, იქ საკმაო საცდელი მასალა იყო.

პროკურორი: რას ნიშნავს „საცდელი მასალა"? ადამიანებს, რომლებიც განდარმერიას მოჰყავდა № 731 რაზმის საპატიმროში?

კავასიმა: სწორედ აგრეა.

პროკურორი: როგორც სპეციალისტ-ბაქტერიოლოგს, თქვენ გესმოდათ, რომ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება საშინელ უბედურებას უმზადებდა არა მარტო მეომარ ქვეყანას, არამედ ნეიტრალურ სახელმწიფოებსაც?

კავასიმა: დიახ, უმზადებდა.

ბრალდებულ კავასიმას დაკითხვით დამთავრდა საღამოს სხდომა.

ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის სამოქალაქო ავიაციის განყოფილების უფროსის განცხადება

პეკინი, 25 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ცენტრალური სახალხო მთავრობის სამოქალაქო ავიაციის განყოფილების უფროსმა ჯუნ ძი-პინმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ამერიკელები ჩენოლტი და ვილაუერი შეეცადნენ უკანონოდ ჩაეგდოთ ხელში ორი საავიაციო კომპანიის — ჩინეთის ეროვნული ავიაკომპანიისა და ცენტრალური ავიასატრანსპორტო კომპანიის ქონება ჰონკონგში.

ჯუნ ძი-პინმა განაცხადა, რომ, ჰონკონგიდან მიღებული ცნობების თანახმად, გომინდანელები ცდილობენ ჩინეთის ეროვნული ავიაკომპანიისა და ცენტრალური ავიასატრანსპორტო კომპანიის ქონების უკანონოდ მიჰყიდონ ორ ამერიკელს — ჩენოლტსა და ვილაუერს და რომ ჩენოლტმა და ვილაუერმა მიმართეს ჰონკონგის ხელისუფალთ — ნება დართონ მათ გაიტანონ ამ ორი კომპანიის ქონება.

ჯუნ ძი-პინმა განაცხადა, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერ-მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ თავის 3 დეკემბრის განცხადებაში აღნიშნა, რომ „ჩინეთის ეროვნული ავიაკომპანია და ცენტრალური ავიასატრანსპორტო კომპანია ეკუთვნიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას და იმყოფებიან ცენტრალური სახალხო მთავრობის სათანადო განყოფილების უშუალო კონტროლში. მხოლოდ ცენტრალურ სახალხო მთავრობასა და ამ მთავრობის მიერ უფლებამოსილ პერსონალს აქვთ უფლება ჩინეთის ეროვნული ავიაკომპანიისა და ცენტრალური ავიასატრანსპორტო კომპანიის ქონების განკარგულებისა და სხვას არავის არავითარ შემთხვევაში ნება არა აქვს ხელყოს ეს ქონება, გაიტანოს ან გააფუჭოს იგი".

ჯუნ ძი-პინმა განაცხადა, რომ გომინდანელების, ჩენოლტისა და ვილაუერის ყველა ცდა — ხელში ჩაიგდონ ამ საავიაციო კომპანიების ქონება — სრულიად უკანონოა, ვინაიდან ჩინეთის ეროვნული ავიაკომპანიის ხელშეკრულების მეცხრე კარის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს, რომ ამ კომპანიის ქონება კერძო პირებს არ უნდა მიეყიდოს. ჯუნ ძი-პინმა განაცხადა: „პრემიერ-მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ აღნიშნა: „ჰონკონგის მთავრობას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ ამ ორი საავიაციო კომპანიის ქონებას ჰონკონგში ვინმე უკანონოდ შეიძენს, გაიტანს ან გააფუჭებს. ამ მთავრობამ უნდა აგოს ამ შემთხვევაში პასუხი აქედან გამომდინარე ყველა შედეგისათვის". ვინაიდან ჩენოლტი და ვილაუერი ცდილობენ ხელში ჩაიგდონ და გაიტანონ ამ ორი საავიაციო კომპანიის ქონება ჰონკონგში, ჩვენ ერთხელ კიდევ მივაქცევთ ჰონკონგის ხელისუფალთა ყურადღებას პრემიერ ჯოუ ენ-ლაის ამ სიტყვებს".

სამეცნიერო სესია სახელმწიფო უნივერსიტეტში

26 და 27 დეკემბერს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სამეცნიერო სესია.

სესიაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები საზოგადოებათმეცნიერების, ბუნებისმეტყველების, მათემატიკისა და ფიზიკის საკითხებზე.

26 დეკემბრის დილის და ხალამოს სხდომებზე მოსმენილ იქნა მოხსენებები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ დ. უზნაძისა — „ფსიქიკის სტრუქტურისათვის", მეცნიერებათა დოქტორის ი. ცინცაძისა — „თანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში 1752-1754 წლებში", მეცნიერებათა კანდიდატის დოცენტ დ. გვრიტიშვილისა—„ზემო ქართლის სალრობაში", მეცნიერებათა კანდიდატის ა. სურგულაძისა — „რევოლუციური სიტუაციის საკითხისათვის საქართველოში 1917 წლის მიწურულსა და 1918 წლის დასაწყისში", პროფესორ, დოქტორ ი. სურგულაძისა — „გვიანფეოდალური საქართველოს სასამართლო ორგანიზაცია", სქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ ა. ჩაქვიანის — „ქართული ხმების სისტემა: სტატიკურ ხმათა უღვლილების ძირითადი კანონზომიერებანი".

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საკითხებზე მოსმენილ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ ა. თვალჭრელიძის, პროფესორ, დოქტორ გ. ძოწენიძის, მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ ნ. სხირტლაძის მოხსენებები „საქართველოს სსრ ზოგიერთი ბაზალტების პეტროგრაფია და მათი სამრეწველო გამოყენების პერსპექტივები", მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ გ. პაპალაშვილისა — „ი. ბ. სტალინი და მიჩურინული ბიოლოგია", პროფესორ, დოქტორ ვ. კოკოჩაშვილისა — „ალის ანომალიური გავრცელება", პროფესორ დოქტორ ბ. დობრინინისა — „კავკასიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტური ზონები და არეები", ასისტენტ მ. უგულავასი — „ფლუორის ქიმიის ახალი მიღწევები და ფლუორის კვლევის პერსპექტივები საქართველოში", — ქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ ვ. გულისაშვილისა — „მერქნიან მცენარეთა ზრდის თავისებურებანი მათი გავრცელების საზღვრებთან".

ფიზიკის საკითხებზე მოხსენებები ჩატარდა მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ ბ. ხვედელიძისა, მეცნიერებათა კანდიდატ ი. ჭარცივაძისა — „კოშის ტიპის ინტეგრალის ზოგიერთი თვისება, როცა საინტეგრაციო არე კონტურთა თვლადი სისტემაა", მეცნიერებათა კანდიდატის ვ. პარკაძისა — „ე. ხ. ლენცი", პროფესორ, დოქტორ ლ. გოკიელისა — „მათემატიკისა და ლოგიკის ურთიერთდამოკიდებულების საკითხისათვის", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ ვ. კუპრაძისა — „ზოგიერთი ახალი შედეგების შესახებ დრეკად არის დინამიკურ სასაზღვრო ამოცანების თეორიაში", პროფესორ, დოქტორ ვ. მამასახლისოვისა — „სინათლის კვალრუპლური გაბნევა შებმულ ელექტრონზე", მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ ნ. პოლიევექტოვისა — „მეზონთა გარდაქმნის თეორიისათვის", პროფესორ ა. ხარაძისა—„საშუალო მნიშვნელობის ერთი თეორემის შესახებ".

27 დეკემბერს მოსმენილ იქნა მოხსენებები: მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ გ. ზარდალიშვილისა — „ი. ბ. სტალინი გეოგრაფიული გარემოს როლის შესახებ საზოგადოების განვითარებაში", უფროსი მასწავლებლის გ. სალარაძისა — „განსაზღვრები შედა ელექტროლიზის მეთოდით", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტის, პროფესორ, დოქტორ ი. კაჭარავისა — „ახალციხის კორბულიანი შრეების ასაკი", პროფესორ, დოქტორ გ. ჭოლოშვილისა — „ორადობის თეორემები მრავლნაირობათათვის", პროფესორ, დოქტორ ა. ჩხატარიშვილისა — „სფეროს ზოგიერთი თავისებურებანი", მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ ნ. კალაბუხოვისა — „მერქნის შიგნითა სივრცის იონები და ატომები ტუტე-ჰალოიდური მარილების კრისტალებში".

ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო 28 დეკემბერს ქ. თბილისში აწყობს რაიონებისა და ქალაქების ჯანდაცვის განყოფილებათა გამგეების, რაიონული საავადმყოფოების მთავარი ექიმებისა და სპეციალისტთა რესპუბლიკურ თათბირს.

თათბირი განიხილავს შემდეგ საკითხებს: 1. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და რაიონული საავადმყოფოების უახლოესი ამოცანები სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში (მომხსენებელი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ამხ. ა. ხელაძე), 2. სამედიცინო კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების შესახებ (მომხსენებელი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ამხ. ვ. გუბაშვილი), 3. სამშობიარო დახმარების გაუმჯობესებისა და აბორტებთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ (მომხსენებელი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამშობიარო დახმარების განყოფილების უფროსი ამხ. ლ. გეგია).

თათბირი გაგრძელდება 3 დღეს.

აუხაზეთის მხატვრების ნამუშევართა გამოფენა

სოხუმში გაიხსნა დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ფერწერის, ქანდაკების და გრაფიკის ნიმუშების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვარ ი. ცოდაიას მიერ შესრულებული ახალი სურათი — „სტალინი და ბერია აფხაზეთში", „ქალაქ სოხუმის ხედი", ნ. ყაზბაგის მხატვრული ესკიზი — „ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე", ახალგაზრდა მხატვრის ა. ვერულაშვილის — სტალინის, მოლოტოვისა და ბერიას პორტრეტები, ბ. ბობელისა — „სოხუმჰესის ჰიდროელექტროსადგურის ხედი", ბ. სემიონოვისა—„მდინარი მიწა", ვ. ევრარისა — „თამბაქოს ანემია", „აფხაზეთის ფილარმონიის ხედი", ნ. მაისეკაიასი — „სვანეთის პეიზაჟები", ო. ბრანდელისა — „აფხაზეთის მთიანი ადგილების რიცხვა და ავათხარის პეიზაჟები".

გამოფენაზე წარმოდგენილია აგრეთვე კ. ნიკოფსიანის მიერ შესრულებული სოციალისტური შრომის მგმირების პორტრეტები და სხვ.

გამოფენა დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ჭურნირი ქალთა მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში

26 დეკემბერს წითელი არმიის ცენტრალური სახლის საკონცერტო დარბაზში შედგა ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის ტურნირის მესამე ტური.

ჰეემსკერკმა (ჰოლანდია) უსაფუძვლოდ შესწირა მხედარი და წააგო პარტია ტრენმერთან (ინგლისი).

ძლიერად ჩაატარა მთელი პარტია საბჭოთა მოჭადრაკე ბელოვამ, რომელიც შავებით თამაშობდა ლარსენთან (დანია). ბელოვამ მალე გაათანაბრა პოზიცია, საინტერესო მანევრით მოიგო ხარისხი და აიძულა მოწინააღმდეგე დანებებულიყო.

გერმანოვამ (პოლონეთი) განახორციელა ეტლის საინტერესო შეწირვა პარტიაში მორასთან (კუბა) და ძლიერი იერიში მიიღო. გარდუვალი შამათის საფრთხის გამო მორამ თავი დამარცხებულად ცნო. შოდე და სილანი (საფრანგეთი) დამარცხდა ბენონისთან (იტალია).

დანარჩენი ოთხი პარტია გადაიდო. რუდენკომ (სსრ კავშირი), რომელიც შავებით თამაშობდა კელერთან (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), გონებამახვილი კომბინაციით მოიგო პაიკი. პარტია გადადებულია რუდენკოს უპირატესობით. გრესერს (ამერიკის შეერთებული შტატები) მატერიალური უპირატესობა აქვს გრუშკოვა-ბელსკას (ჩეხოსლოვაკია) წინააღმდეგ.

ბიკოვა (სსრ კავშირი) — რუბცოვას (სსრ კავშირი) პარტია გადაიდო ბიკოვასათვის მძიმე მდგომარეობაში.

ეტლების ენდშპილში კარფს (ამერიკის შეერთებული შტატები) ზედმეტი პაიკი აქვს პარტიაში ლანგოშის (უნგრეთი) წინააღმდეგ.

27 დეკემბერს შედგება ტურნირის მეოთხე ტური. (საკდესი).

ლექციები

საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის (ჯავახიშვილის ქუჩა № 1) სხდომათა დარბაზში, 29 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, ჩატარდება მოხსენებები: „ფორმალიზმი მათემატიკის სწავლებაში და მისი დაძლევის გზები" (მომხსენებელი დოც. მ. კონიაშვილი), „საბჭოთა მათემატიკის ახალი მიღწევები" (მომხსენებელი დოც. ე. წითლანაძე), „დაწყებითს საფეხურზე ინგლისური ენის სწავლების საკითხი" (მომხს. დოც. თ. თუშმალიშვილი).

თეატრებში

28 დეკემბერს: ოპერისა და ბალეტის — „ჩიო-ჩიო-სან" (მე-12 ან. მეხუთე სპექტაკლი); **რუსთაველის სახელობის** — „ნ. ბარათაშვილი" (მე-7 სერიის მეოთხე სპექტაკლი); **მარჯანიშვილის სახელობის** — „ძველი სახლი"; **გრიბოედოვის სახელობის** — „სამშობლო" (მე-4 ან. პირველი სპექტაკლი); **მუხიანური კომედიის** — „არსენა ოძელაშვილი"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „უეცარი სიმდიდრე" (10 ან. 6 ს.).

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნათრ. შვილი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

1. ინსტიტუტის ჩვილ ბავშვთა სექტორის გამგის თანამდებობაზე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.
2. მოზარდ ბავშვთა სექტორში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.
3. ახალშობილთა კლინიკის გამგის თანამდებობაზე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.
4. დღენაკლულ ბავშვთა კლინიკის გამგის თანამდებობაზე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.
5. კლინიკო-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.
6. ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.

კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები ორ ცალად: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, დიპლომის ასლი, ცნობა სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ, მეცნიერული ნაშრომების სია და მეცნიერული ნაშრომები ერთ ცალად, საჭიროა და პოლიტიკური დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან, ფოტოსურათი.

კონკურსში მონაწილეთათვის ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა. კონკურსის ვადაა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნებიდან.

განცხადება მიიღება დირექტორის სახელზე, ლენინის ქუჩა № 38, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

კლიენტების მომსახურების გასაადვილებლად თბილისის ცენტრალურმა ტელეგრაფმა (სამხედრო ქ. № 4) გახსნა მოსახლეობისაგან საახალწლო მისალოცი დეპეშების წინასწარ მიღება. დეპეშების ჩაბარება გარანტირებულია ზუსტად აღნიშნულ ვადაში.

ასეთ დეპეშებზე გაგზავნის უნდა აღინიშნოს „ჩაბარდეს 1 იანვარს".

დეპეშები შეიძლება აგრეთვე გადმოცემულ იქნეს ბინის